618
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშა

№ 10 ოქტომბერი 1960



დიდი პედაგოგის მონაფეებთან

იაკობ გოგებაშვილი (1880 წ.)

7986

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 10 (111) ოქტომბერი, 1960 წ.

გამოცემის X წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საერთაშორისო-სამხატვრო ჟურნალი

იაკობ გოგებაშვილის სამშობლო სოფელში მივდივართ. გორს გავცილდით თუ არა „დედა ენა“ გადავშალეთ, ნაწილი მეორე, სულ—ბოლო თავი „საქართველო“. გოგებაშვილი განსაკუთრებული გულისყურით მუშაობდა ამ თავის განვრცობასა და გაფართოებაზე და ცალკე წიგნად აპირებდა გამოეცა—„დედა სამშობლო“.

ეს თავი იწყება პატარა წერილით „ჩვენი სოფელი“.

ეს სოფელი ვარიანია.

ჩვენც ვარიანში მივდივართ. ორმოცდა რვა წელიწადი გავიდა (ხელთა გვაქვს ოცდამეშვიდე გამოცემა, 1912 წლისა) მას შემდეგ რაც ეს წიგნი გამოიცა. ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ყველა ქართველი ადამიანისათვის ძვირფასია ის სოფელი, სადაც დაიბადა დიდი ქართველი პედაგოგი, ქართული ენის მოამაგე, „ტომლის ენდა ენით“ მრავალმა თაობამ „დედა ენა“ და შეაღო „ბუნების კარი“, რომ სამშობლოს და ხალხის ბედნიერებისათვის ეშრომნა და ებრძოლა.

„პატარაა და ღარიბი ვარიანი; მაგრამ მე კი ეს სოფელი ძლიერ მიყვარს. მიყვარს იმის გამო, რომ იქ დავიბადე, იქ ვიხილე სინათლე მზისა, იქ გავატარე ბედნიერი დღეები ჩემი ბავშვობისა, იქ ვისწავლე ბევრი ხალხური ლექსი და მოთხრობა, იქ შევითვისე და შევიყვარე მშრომელი ხალხი“...

... ფართო, კეთილმოწყობილი, ალეის ხეებით დაჩრდილული გზა ხან ბაღებში იმალება, ხან ველზე გაიჭრება; მარცხნივ, სერს თითქოს ფაფარი აქვს გადაგდებული. ეს თედოწმინდას მუხნარია. შესანიშნავი ტყე, რომელიც ხალხს ასე სათუთად და საგულდაგულოდ შემოუნახავს... მაგრამ მანქანა მიქრის. უკვე ჩავუარეთ ახალ ... ბის ახალ სახლებს, ხილის დასამზადებელი პუნქტის ქვიტკირის ახალ შენობას და ვარიანში ვართ. წითელ კრამიტიანი შენობები ძლივსღა ჩანან დაბურულ ბაღებში... „მცხოვრებნი სულ გლეხები არიან, ას კომლამდე იქნებიან. ახლო-მახლო ცხოვრობენ. ქვიტკირის შენობა მხოლოდ ზოგიერთს უდგია. სხვები ცხოვრობენ ან მიწურში, ან ქვა-ტალახა სახლებში“... სწორედ ამ სტრიქონებს ვკითხულობდით, როდესაც ჩვენმა მძღოლმა გზების გასაყარზე შეაჩერა მანქანა. ერთ ახლად აგებულ ვრცელ აგურის ორსართულიან სახლთან პატარა გოგონას მოვკარით თვალი:

— რომელ კლასში სწავლობ?

— თვეები მიკლია და არ ჩამრიცხეს...

— რა გაეწყობა... უნდა მოუცადო... შენ ეს გვითხარი ეს სახლი ვისია?

— შალვა ზუბაშვილისაა... ბრიგადირათა მუშაობს კოლმეურნეობაში...

კოლმეურნეობის გზა გვასწავლა და მოჰკურცხლა ჩვენმა პირველმა ვარიანელმა ნაცნობმა.

ახლა იაკობ გოგებაშვილის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნოდარ მაზიშვილი და კოლმეურნეობის პარტორგი გრიგოლ კერესელიძე დაგვიდგნენ მეგზურებად და ზემოთ მოტანილი სტრიქონების კომენტატორებად... ჰო მცხოვრებნი სულ გლეხები კი არიან—კოლმეურნეები, მაგრამ ინტელიგენციაც ბევრი გვყავს—უმეტესობა აქაურნი არიან, მაგრამ სხვა სოფლებიდანაც ბევრია მოსული... საშუალო სკოლაში, მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობის გამგეობაში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მუზეუმში,—მასწავლებლები, აგრონომები, ინჟინრებია საჭირო და აბა აქაურები რას აუვიდოდნენ. თვითონ ნოდარ

ბ. ხანძთელის სახ. ხან. ... საჯარო ბიბლიოთეკა



ამ სახლში იყო ი. გოგებაშვილის მიერ დაარსებული პირველი სკოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათა ადუაშვილი.



ალექსი კოკაური.

მაზმიშვილს გორის, ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული და ეს ერთი ხანია ხელმძღვანელობს ამ დიდი კოლმეურნეობის (იგი სამი სოფლის—ვარიანის, არაშენდას და ახალდაბის კოლმეურნეებს აერთიანებს) მრავალდარგოვან მეურნეობას. ინტელიგენცია... აბა, რომელი ერთი ჩამოვთვალო... თუნდაც ჩვენი ბრიგადირებიდან დავიწყოთ, უმეტესობას გორის აგრონომიული ტექნიკუმი აქვთ დამთავრებული—გიორგი ქებაძე, ქიტესა მაჩაბელი, შალიკო ზუბაშვილი, მიხეილ სეხნიაშვილი...

და იწყება ამბავი იმ „პატარა და ღარიბი“ ვარიანისა, რომლის კოლმეურნეობის ბაღები 210 ჰექტარზეა გაშლილი; 32 ჰექტარი ვენახი, 40 ჰექტარი ბოსტანი კიდევ სხვა არის. კოლმეურნეები ბეჯითად ამრავლებენ თავიანთ ქონებას—მარტო მომავალ გაზაფხულზე რომ ავიღოთ—100 ჰექტარი ბაღი და 6 ჰექტარი ვენახი უნდა ჩაჰყარონ, ყოველივე ეს იმ ვარაუდით კეთდება, რომ შვიდწლედის დასასრულს 240 ჰექტარით იმატოს ბაღმა და 80 ჰექტარით ვენახმა. ასე ძირეულად შეიცვალა ვარიანის მეურნეობის მიმართულება; იაკობ გოგებაშვილი წერდა—„ვარიანს ირგვლივ შემორტყმული აქვს ვენახები... ხილი კი ნაკლებად არის დარგული. ვენახებს აქეთ-იქით იწყება სახნავი მიწები“—სახნავი მიწები ახლაცაა, მაგრამ მათ თანდათან ბოლო ეღებათ, იქ—ვარიანის საბჭოთა მეურნეობის საზღვარზე—უკვე სავენახედაა მომზადებული, ხოდაბუნებში საბაღედ არის გადაბრუნებული, რომელი ერთი უნდა ჩამოითვალოს—„მუხები“ თუ „გვერდები“, ის ურწყავები თუ ეს ყოფილი ჭაობი, სადაც მარტო ამ გაზაფხულზე 300 ჰექტარი გადაეცემა კოლმეურნეობას დამშრალი და სახნავად მომზადებული. („სამხრეთით ვარიანს მოზრდილი ჭაობი უძევს, ამ ჭაობს მეტად ცუდი სუნი ასდის, რომელიც სწამლავს ჰაერსა და აჩენს ციებას ზაფხულობით“...) ისევ გოგებაშვილსა ვფურცლავთ: „სახნავ-სათესი მიწაც ნაკლები აქვთ და ისიც საღალო. ამის გამო ღარიბნი არიან და ვალი ბევრი მართებთ სხვადასხვა ფულიანი მოქალაქეებისა“..—ამაზე რაღას გვეტყვით?—სახნავ-სათესი როგორც მოგახსენეთ კიდევ უფრო შემცირდება ამ შვიდწლედში—ბაღად და ვენახად იქცევა. სულ 1620 ჰექტარი გვაქვს — საბჭოთა მეურნეობასაც 1300-მდე ჰექტარი აქვს—ეს არის ჩვენი ავლადიდება. რაც შეეხება ვალსა... შემნახველი სალარო არ გვქონდა და კოლმეურნეთა მოთხოვნით ამ ორიოდე თვის წინათ გავხსენით. აქვეა გამგეობის შენობაში.

შემსალაროს გამგეს თინა ომაძეს შევეკითხეთ—ასზე მეტი მეანაბრე ჰყოლია.

— თანხა?

— ეს მეანაბრეთა საიდუმლოებაა...

საიდუმლოების გახსნას არ გამოვეკიდეთ და განვაგრძეთ ჩვენი მგზავრობა.

— რომელ ბრიგადაში მივიდეთ?

— თუნდაც პირველი იყოს.

პირველი ბრიგადა, რომელსაც შალვა ზუბაშვილი ხელმძღვანელობს, ვაშლის საკრეფად იყო გასული. ხნიერ კოლმეურნეებს მხარში ამოსდგომიან საშუალოსკოლადამთავრებული ბიჭები თეიმურაზ კერესელიძე, დავით მეგრელიშვილი, ტრისტან ბერძენიშვილი...

— მერე რას აპირებთ?

— მერე, აგროფაკზე უნდა შევიდეთ—აი, ჩვენი ვალიკო ჯირკველიშვილი რო სწავლობს.

— უნდა ისწავლონ, მაშა!—ეს ჯანმაგარმა და ლოყაშეჟღალებულმა მოხუცმა მოგვცა ხმა.

— გაიცანით, ზალიკო მეგრელიშვილია, იაკობ გოგებაშვილის მიერ გახსნილი სკოლის ერთ-ერთი პირველი მოწაფე. ამ სკოლის ისტორია ყველას გვახსოვს—მეტად საინტერესო ეპიზოდია დიდი პედაგოგის ბრძოლისა სახალხო განათლებისათვის.

ზალიკო მეგრელიშვილი (მისი სურათი „დროშის“ ამ ნომრის გარეკანის მეორე გვერდზეა მოთავსებული) მიუხედავად სამოცი წლისა, ისე ტრიალებს ბაღში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. გოგებაშვილის სახელობის სკოლა სოფ. ვაზიანში.

გორც ახალგაზრდა. ეს ბაღი ხომ მისი ხელითაა დარგული და ნახეირები. ფუჭად არ ჩაუვლია დიდი პედაგოგის სწავლა-დარიგებას, ზალიკოს სამივე შვილმა სკოლა დაამთავრეს და აქვე ვარიანში მუშაობენ: გიორგი—ხილის დამზადების პუნქტში, ანდრო—მეფუტკრეა, უმცროსი—ვალიკო ამავე ბრიგადაში მუშაობს.

— შვილიშვილები?

— მერაბი—მეორეშია, სესილია—მეექვსეში, ბაბო—მეხუთეში, ცირა... ახლა თითები მოიშველია ბედნიერმა პაპამ... ჰო, ყველანი სწავლობენ აი, აქვე—თქვენ რომ გამოიარეთ ახალი შენობაა—იაკობ გოგებაშვილის სახელობის სკოლა...

ჰო, სკოლაც იაკობ გოგებაშვილის სახელობისაა და განა ასე არ უნდა იყოს?

იაკობ გოგებაშვილის მიერ დაარსებულმა პირველდაწყებითმა სკოლამ მხოლოდ რამდენიმე წელს იარსება.

თავის „ანდერძში“ დიდმა პედაგოგმა ასე ჩაწერა თავისი ნება-სურვილი „პირველი: ჩემი სახელმძღვანელოების ყოველწლიური შემოსავლის ხარჯზე ის (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება) ვალდებულია დააარსოს და შეინახოს სანიმუშო დაწყებითი სკოლა ჩემს მშობლიურ სოფელ ვარიანში...“

იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეებმა—ვარიანისა და მთელი საქართველოს მშრომელმა ხალხმა პირნათლად შეასრულეს ეს ანდერძი და ოთხი ათას სხვა სკოლასთან ერთად ვარიანშიც გახსნეს მართლაც სანიმუშო სრული საშუალო სკოლა. გოგებაშვილისეულ პატარა დაწყებითი სკოლის მოწაფეების შვილები და შვილიშვილები ახლა უკვე თვითონ ასწავლიან ვარიანის სკოლაში. ბარბარე ბერკაცაშვილმა, თამარ ყასუნაშვილმა, გაიოზ ადუაშვილმა, ესტატე ურჯუმელაშვილმა, შალვა კოკაურმა, ოლღა ჯირკველიშვილმა დაამთავრეს თბილისის თუ გორის უმაღლესი სასწავლებლები და თავის მშობლიურ სოფელს დაუბრუნდნენ.

ამ დღეებში, როდესაც ვარიანელები თავის სასახელო თანასოფლელის საიუბილეო თარიღის ღირსეულად აღნიშვნისათვის ემზადებიან ხშირად ნახავთ სოფლის მოხუცებს დათა ადუაშვილს, ალექსი კოკაურს, ზალიკო მეგრელიშვილს, ივანე მეტრეველს—რომელთაც ბავშვები შემოხვევიან იმ ძველი სახლის გვერდზე სადაც მათ ოდესღაც წერა-კითხვა შეუსწავლიათ.

ბევრს საგულისხმო ამბებს იგონებენ მოხუცები, რომელთაც კარგად ახსოვთ იაკობ გოგებაშვილი—აქ გაიზარდა იგი—აი ამ ფშნებში იჭერდა თევზებს (ძლიერი ნაკადი ახლაც გამოედინება ეკლესიის საძირკვლიდან და ლიახვის ფშნებში იშლება), აქ „შეჰხაროდა არემარეს, დასდევდა ჭრელს პეპლებს, მახეს უგებდა ჩიტებსა, აბრუნებდა კვახის ბორბლებს ჩახრიალაზე, თევზაობდა პატარა კალათით ფშანებში“.

იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის თანამშრომლები მიხეილ რაზმაძე და სანიკო ხანიშვილი სათუთად აგროვებენ ყოველივეს, რაც დიდი პედაგოგის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება.

ქართლის ოდესღაც პატარა და ღარიბი სოფელი ვარიანი—დღეს დიდ და შეძლებულ სოციალისტურ სოფლად გადაიქცა. ყველა ქართველი დღეს მადლიერად ახსენებს ამ სოფელს, სადაც დაირწა დიდი ქართველი მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის აკვანი.





კოტე ჯავრიშვილი
ზურაბ წერეთელი
გურამ თიკანაძე

იაკობ გოგებაშვილის წერილები აკაკი წერეთლისადმი

იაკობ გოგებაშვილისა და აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის პირად ფონდებში დაცულია პირადი წერილები—მიმოწერა, რომელსაც გარკვეული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისა და ფილოლოგიური ტორიისათვის. ამავე დროს ეს წერილები ნათელს ჰფენენ ამ ორი დიდი ქართველის საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის ზოგიერთ საკითხებს, მათი მეგობრობის იშვიათ მაგალითს, სიყვარულსა და ურთიერთობას.

აკაკიმ თავის პირად წერილებში (იხ. რვა წერილი ჟურნ. „მნათობში“ 1940, № 10, გვ. 91-107—ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმოწერა ი. გოგებაშვილთან, ხოლო მეცხრე წერილი—აკაკი წერეთლის ტომი VI, 1956, გვ. 395—რედაქტორის შენიშვნები) დაგვიხატა ი. გოგებაშვილის ნათელი სახე, დიდბუნებოვანი ადამიანის მოღვაწეობის მნიშვნელობა სამშობლოს ეროვნული კულტურისა და ეკონომიური აღორძინებისათვის ბრძოლაში.

თავის მხრივ იაკობ გოგებაშვილსაც გატაცებით უყვარდა აკაკი და თაყვანსა სცემდა მას. ეს ნათლად ჩანს იაკობის იმ მცირე წერილებიდან (სამწუხაროდ სრულად არ შემონახულა), რომლებსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.[1]

შალვა გოზალიშვილი

I

ძვირფასო აკაკი! მოგილოცავ მშვიდობით დაბრუნებას[2]. ვწუხვარ, რომ როცა სამშაბათს საღამოზე ჩემთან მოსულხარ, ჩემი მოსამსახურე შინ არ ყოფილა და კარი ვერ გაუღია. მე კი მაშინ საწოლ ოთახში ვიწექი გაციებული და ოფლიანი და ვერაფერი გავიგე. ბოდიშს ვიხდი. მეორე უფრო დიდი საბოდიშო მაქვს შენთანა. ფული ვერ გამოგიგზავნე პეტერბურგში. აი ამისი მიზეზები: პირველად, წერილში დაგვიწყებოდა შენი ადრესი, და ეს კი მე ჩავთვალე ნიშნად იმისა, რომ გაჭირვება უკიდურესი არ იყო; მეორედ შენმა მახლობელმა ნაცნობებმა მითხრეს, რომ ამ ორ-სამ დღეში უნდა გამოსულიყო პეტერბურგიდანაო; და შიშმა ამიტანა, ვაი, ფული პეტერბურგში მივიდეს მაშინ, როდესაც აკაკი იქ აღარ იქნება მეთქი; მესამედ პეტერბურგში მისული ფული შეიძლება კეთილმა ადამიანებმა გამოსცინცლონ გულუბრყვილო აკაკისა და ცარიელზე დასვან მეთქი; მეოთხედ, როცა აკაკი თბილისში ჩამოვა, ჯიბე-ცარიელა იქნება და ფული მაშინ უფრო საჭირო იქნება მისთვის მეთქი... და რადგანაც ეს ჯიბე-ცარიელობა შენი ამ ჟამად ნამდვილი ფაქტი უნდა იყოს, ამიტომ გადავწყვიტე ხვალ დილით მოგართვა ხუთი თუმანი. თუ უკედ ვიქნები და კარზე გამოსვლას შევძლებ, მე თვითონ გამოვიტან ბანკიდან და შემოგიტან, თუ სიცხე ისევ მექნება, მაშინ ხუთი თუმნის ჩეკს გამოგიგზავნი.

ყოველი შენი სიკეთის მონატური ექსპროპრიატორი იაკობ გოგებაშვილი.

(1896 წ. 6 აპრილამდე, თბილისი)[3]

II

ძვირფასო აკაკი!

მოგილოცავ მშვიდობით დაბრუნებას სამშობლოში და ვინატრი შენს გამარჯობას ყოველს ავადმყოფობასა და შენზედ—პირადსა და საზოგადოებრივზედ. უფრო ადრე მოგელოდით. შენმა უმაწვილმა მეგობარმა გიგო დიასამიძემ მითხრა იანვარში, რომ საყველივროდ დაბრუნდებაო. მე ეს მჯერიოდა რადგანაც მასთან ერთად დავივიწყე, რომ სანატრელი საზოგადოდ ყოველთვის იგვიანებს, ან სულაც არ მოდის, და არა სანატრელი კი მუდამ ჭენებით მორბის. ამ ჭეშმარიტების დავიწყება იყო მიზეზი, რომ წერილი ვერ მოგწერე. სხვა მიზეზიც დაერთო. ჩემი წერილი უნებლიედ გაივსებოდა პირადი და საზოგადოებრივი იერეგოდებით, და განა აქ არ გეყოფა ეს მწარე ხილი, რომ იქაც არ გამომეგზავნა! რაც შენ წახვედი, სამჯერ-ოთხჯერ არ გამოვსულვარ გარედ, სულ ავადმყოფობ, ვუქეიფობ. ამ დღეებში კარგად შევიქენი და იმედი მქონდა განახავდი დღეს, ხვალ. მაგრამ გუშინ აბანოში გავცივდი და ისევ მოვემწყვდიე ჩემს სადგურს—საპყრობილეში. კიდევ კარგი რომ ფართო საპყრობილე მაქვს, თორემ ვერაფრად იქნებოდა ჩემი საქმე. სამწუხაროდ, იძულებული ვარ ამ ერთი თვის განმავლობაში დავტოვო სამუდამოდ ეს ფართე და ჩაღი სადგური—საპყრობილე.

გიგზავნი აპელსინებს, რადგანაც გავიგე, რომ კიდეც გიყვარს და კიდევაც გრგებს. „სულით და გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირებაო“ სთქვა ქართველმა პოეტმა, რომლის სიცოცხლის სიმრთელის და გამარჯობის მონატურია

იაკობ გოგებაშვილი

1896 წელს.
აპრილის 6 დღესა.

III

ბატონო აკაკი! მივიღე თქვენი დეკადენდური ეპისტოლე: სამს სიტყვაში ერთი ძლივ-ძლიობით ამოვიკითხე. რომელმა ჭ (ო) რიკანა ჭინჭრაქამ დაგარწმუნა, რომ მე „ივერიაში“ ვითომ მხურვალე მონაწილეობას ვიღებ. არამც თუ მხ (ურ) ვარეს, ცივს მონაწილეობასაც მოკლებული ვარ. იქ სხვა ჭკუის სულიერნი თვით-მპყრობელობენ. „ივერიის“ სხვადასხვა მძიმე შეცდომაში თუ დანაშაულობაში, მე იმდენივე ბრალი მადევს, რამდენიც შენის სახლ-კარის გადაბუგვაში. ქართველი გლეხის აზრით, ქონების ცეცხლით გადაბუგვა—პატრონის დღეგრძელობას მოასწავებსო. ვინუგეშოთ ამ ტკბილი იმედით მაინცა.

თქვენი ყოველი სიკეთის მონატური იაკობ გოგებაშვილი

მისამართი: В Чиатуры (Кутаисской губернии) Его святельству князю Акакию Ростомовичу Церетели. (1902 წ. 9 იანვარი)[4].

IV

ძვირფასო აკაკი!

დღეს შენ ცოტა პესიმიურს მდგომარეობაში განახე და ძლიერ გამიკვირდა. გამიკვირდა იმის გამო, რომ შენს პესსიმიზმს არავითარი საფუძველი არა აქვს. ექიმების საერთო აზრით, რომელიც მათ გამოსთქვეს კრებაზედაც, შენი ჩინებული აგებულობა გიჭადის ხანგრძლივს და ხალს სიცოცხლესა. სწორედ ამის გამო დაგენიშნა შენ პენსიად თვეში თხუთმეტი თუმანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრად მეტს დავნიშნამდით. დავნიშნამდით იმის გამო, რომ სრული იმედი გვაქვს მხურვალე თანაგრძნობისა და სიუხვისა ქართულის საზოგადოების მხრივ. გარდა ამ ყოველ თვიურის პენსიისა კომიტეტი იკისრებს დაკმაყოფილებას ბანკისას, რომელშიც დაგირავებულია შენი მამული. ერთი სიტყვით, შენ სრულიად დამშვიდებული უნდა იყო და შეგიძლიან იფიქრო მხოლოდ შენს მომავალს პოეტიურს ქმნილებებზე, რადგან შენისთანა ოლიმპიელისათვის ამისთანა ფიქრი საუკეთესო ღონისძიებაა მაღალის მშვიდობიანობისათვის, რაც შეადგენს შენთვის აუცილებელს პირობას დროიანად გამრთელებისათვის.

შენის სიმრთელის და დღეგრძელობის მონატური იაკობ გოგებაშვილი

4 ნოემბერს 1904 წელსა.

V

ძვირფასო აკაკი!

გიგზავნი ჩემს ახალს წიგნსა[5]. შეიძლება, რომ შენში უხიამოვნობა გამოიწვიოს წინასიტყვაობის იმ ადგილმა, სადაც მე ვამბობ, რომ ქართველობაში ადგილი არ აქვს პოლიტიკურს სეპარატიზმსა მეთქი. ეს ადგილი ჩაურთე შემდეგი მოსაზრებით: ქართველებს ეშინიანთ სეპარატიზმი-

ხა, მიაჩნიათ დამლუპელ მიმართულებათ, და ამავე დროს ჰგონიათ, რომ ნაციონალიზმი, მამულიშვილობა იგივე სეპარატიზმია. ამის გამო ზურგს აქცევენ ეროვნულს პრინციპს, ეროვნულს მიმართულებას და მარხავენ ეროვნულს ძალებსა, გადაგვარების გზაზე დგებიან. ჩემი ახალი წიგნი მთელს ასს წერილში დადადებს ეროვნულის პრინციპის გამეფებას ყოველს სფეროში, დადადებს რაც ძალი და ღონე აქვს მის ავტორს, და ამ უკანასკნელს უნდა, რომ უშიშრად დაადგეს ქართველობა მისი ეროვნული აზრების განხორციელებას. მეორე მოსაზრება უფრო კიდევ საყურადღებოა. შემოდგომაზე გამოვა ჩემი რუსული ტომი, რომელშიც მოქცეული იქნება წერილი, რაშიც გათვალისწინებული ექნება რუსულ პრესას და საზოგადოებას ის უდიერი დევნა, რომელსაც განიცდის საქართველო და ქართველობა მეტადრე უკანასკნელს წლებში და რომელიც ხამარეს უთხრის მას. ნათქვამი იქნება ამ წერილში, რომ ამისთანა დევნას სხვა სახელმწიფოები სეპარატიზმით გაყლენთილს ქვეყნებსაც კი არ აყენებდნენ, და საქართველოში კი დიოგენის ფარნითაც ვერ მოსძებნით პოლიტიკურს სეპარატიზმსა მეთქი და დასამტკიცებლად ამისა, სხვათა შორის იქმნება ჩართული თარგმანი წინასიტყვაობის იმ ადგილისა, სადაც უარვყოფ ქართველობაში სეპარატიზმსა. ამ აზრის ქართულის გამოცემიდან თარგმანს უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება რუსულის პრესისა და საზოგადოებისათვის, ვიდრე პირდაპირ რუსულად ნათქვამსა...

...ჭკვიანმა ქართველმა ინტელიგენტებმა რამდენიმე წერილი ავტონომიის და სოციალიზმის შესახებ დაწერილი განმათავისუფლებელის მოძრაობის დროს, ამომალებინეს ამ წიგნიდან და გადამადებინეს მეორე ტომისათვის. ეგ იმგვარი სტატიებიაო, რომ მთელს გამოცემას გააუქმებინებსო. „თვით პეტერბურგში ვერც ერთი მწერალი ვერ გაბედავსო ამ ხანაში მაგისთანა სტატიების დაბეჭდვასაო“. სთქვა, სხვათა შორის, ფოცხვერაშვილმა“, როცა გადაიკითხა ის სტატიები. გამოცემა შეიცავსო ასს ძლიერს ეროვნულს წერილებსაო და ბიუროკრატია ამისთანა წიგნს დიდი სიამოვნებით გააუქმებს, თუ მიზეზს მისცემთო. მეც დავმორჩილდი და აკრებული და გასწორებული წერილები წიგნის ტექსტიდან ამოვიღე.

საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ჩემს წიგნშიც არ მოიპოვება არც ერთი სიტყვა, არც ერთი ფრაზა, რომელიც ნათქვამი იყოს სახელის გულისათვის. ყოველ შემთხვევაში მე სახეში მქონდა და მაქვს სიკეთე ჩვენი ტანჯული ერისა და სხვა არაფერი. ეს შენ კარგად იცი და მინდა, რომ სხვებმაც შეიგნონ.

შენი მრავალჟამიერ სიცოცხლის მონატური

იაკობ გოგებაშვილი

მინაწერი: ზეგ სამშაბათს 6 ივლისს, ბორჯომში მივდივარ და ვიცხოვრებ სასტუმროში. თბილისში საშინელი ხოლერაა და სიცხე...



ამერიკის შეერთებული შტატები. 24 სექტემბერს, გლენკოვოში, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის XV სესიაზე, ნ. ს. ხრუშჩოვს საუბარი ჰქონდა კორესპონდენტებთან (ზემოთ).

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია. სურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი და განის რესპუბლიკის პრეზიდენტი კვამე ნკრუმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენლობის შინობაში.

ფოტო—ნაკადების სპეციკორესპონდენტის ვ. ეგოროვისა

შენიშვნები: 1. ი. გოგებაშვილის ხუთივე წერილი აკაკისადმი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ა. წერეთლის ფონდში № 454.

2. აკაკი 1895 წლის დეკემბერში წავიდა რუსეთში (ხარკოვსა და პეტერბურგში) თავის შვილთან—ალექსი წერეთელთან, სადაც დაჰყო 1896 წლის გაზაფხულამდე. სამშობლოში დაბრუნდა აპრილის პირველ რიცხვებში.

3. წერილი უთარიღოა. ვათარიღებთ მეორე (თარიღიანი) წერილის მიხედვით, რომელსაც ეს წერილი წინ უძღვის. დაწერილია 1896 წლის აპრილის პირველ რიცხვებში.

4. იაკობ გოგებაშვილის ეს უთარიღო ღია ბარათი აკაკის მეშვიდე (უთარიღო) წერილზე (იხ. „მნათობი“, 1940, № 10, გვ. 97). ღია ბარათი თარიღდება „1902 წ 9. იანვარი“ საფოსტო ბეჭედზე აღნიშნული თარიღით. ამის მიხედვით აკაკის მეშვიდე წერილიც თარიღდება, დაწერილია არა 1908 წელს, როგორც წინათ დავათარიღეთ, არამედ—1901 წლის დეკემბრის ბოლოს, ან 1902 წლის იანვრის დასაწყისში. ამ წერილში აკაკი იაკობს სწერდა: „მიკვირს და გამკვირვებია, რომ ის გაზეთი, სადაც შენ მხურვალე მონაწილეობას იღებ, კიდევ მაინც ასე წინდაუხედავად წაიკუნტრუშებს ხოლმე!“ და სხვა. ამ პერიოდში, ილია ჭავჭავაძის შემდეგ, 1901 წლის 5 დეკემბრიდან—1903 წლის 20 ივლისამდე „ივერიის“ რედაქტორად ალ. სარაჯიშვილი იყო.

აღნიშნულ წერილში სხვათა შორის აკაკი წერდა: „ამ დღეებში, ღამის სამ საათზე წამოკიდეს ცეცხლი. თავლიდან დაწყებული, რაც რამე კი ნამშრალობა მქონდა სულ გადამიბუგეს; სახლი კი სოფელმა გადამირჩინა... გამომძიებელი გადმოვიდა და გლეხკაცებში და მოსამსახურეებში დაიწყო დამნაშავის ძებნა, მაგრამ ტყუილად, ისინი მე არას მერჩოდნენ. იმათ თვალშიაც რომ ჩაუვარდე ხელსაც არ ამოიისმენ. გამომძიებელსაც ასე ეუთხარი და თავი დავანებებინე... დაიწვას ყოველიფერი, მაინც დასაწვავია!...“ და სხვა.

5. აქ იგულისხმება ი. გოგებაშვილის რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების 1 ტომი, რომელიც 1910 წელს დაიბეჭდა.

6. კოტე ფოცხვერაშვილი—ცნობილი ქართველი კომპოზიტორი: ი. გოგებაშვილის მეოხებით დანიშნული სტიპენდიითა და დახმარებით შესძლო რუსეთში მუსიკალური განათლების მიღება (იხ. „სახ. გაზეთი“, 1910, № 39, გვ. 3-4; კ. ფოცხვერაშვილის—ჩემი მოგონება ი. გოგებაშვილის შესახებ, ჟურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1940, № 10, გვ. 81-83).

მთელი მსოფლიოს უფრადღება მიპყრობილია ნიუ-იორკისაკენ, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია მიმდინარეობს. ამ სესიას მსოფლიოს ხალხებმა უკვე უწოდეს ისტორიული, მასში საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოწადილობის გამო.

მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებს სესიაზე, საბჭოთა მთავრობის ახალ მშვიდობისმოყვარულ ნაბიჯებს, მის ინიციატივას მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობისათვის ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ ლომიძე, მაყვალა ქიმერიძე, ნაზი ქიმერიძე, ელენე შუბითიძე და მზია არსანიძე სიმწიფის ატესტატით მოვიდნენ ახალ ქარხანაში სამუშაოდ.

...: „ხაშურის კონსერვი"

ა. კოკილაშვილი

ფოტო შ. ჩხეტიანისა

პარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა ნიკოლოზ ჯავახიძემ დაწვრილებით გაგვაცნო ქართლის მიწაზე მეორე საკონსერვო ქარხნის (გორის საკონსერვო ქარხნის შემდეგ) დაბადების ისტორია.

— მას შემდეგ,—გვითხრა მან, —რაც მწყობრში ჩადგა ტაშისკარის სარწყავი არხის სისტემა, ბუნებრივია, დაისვა საკითხი კოლმეურნეობებში მებოსტნეობის განვითარების შესახებ. მაგრამ, როგორ მოეწყობოდა მიღებული მოსავლის რეალიზაცია? ვიფიქრეთ ამ საკითხზე და იმ დასკვნამდე მივედით, რომ საჭირო იყო საკონსერვო ქარხნის აშენება-მოწყობა. ამ მიზნით გამოვნახეთ შენობა (მტს-ის ყოფილი სარემონტო სახელოსნო). დახმარებისათვის მივმართეთ ხელმძღვანელ ორგანოებს, და მალე გაიშალა საკონსერვო ქარხნის სამუშაოთა ფრონტი ხაშურისა და სურამის მიჯნაზე. ქარხანა ძირითადად დავაკომპლექტეთ საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, მეტწილად—კომკავშირული საგზურებით მოსული ახალგაზრდობით. როცა ქარხანა ამუშავდა, იმდენი ნედლეული მოზღვავდა, რომ პირველ ხანებში ახალგაზრდა მეკონსერვეებს უჭირდათ კიდეც მიღებული ნედლეულის მთლიანად გადამუშავება. ახლა ქარხანა მთელი დატვირთვით მუშაობს.

ქართლის მიწაზე 1960 წლის ივლისში დაბადებულმა მეორე საკონსერვო ქარხანამ ქართლის ახალი მარკის კონსერვების პირველი პროდუქცია მოგვცა.

მერი შუბითიძე

სპეციალისტები ამბობენ, ხაშურის ქარხნის მიერ გამოშვებული კონსერვები არათუ ჩამოუვარდებიან ძველი, ნაქები ქარხნების მიერ გამოშვებულ პროდუქციას, არამედ კიდეც სჯობიაო.

ჩვენ ამ ახალი საწარმოს მთავარ საამქროში ვართ.

დაზგებს მოღიმარი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები უდგანან. ახალ ქარხანაში 90 პროცენტი ახალგაზრდობა მუშაობს. მათ შორის 90 კომკავშირელია, სიმწიფის ატესტატით მოსულია 80 ჭაბუკი და ქალიშვილი.

— მუშაობენ და იცით, როგორ?!—გვითხრა ქარხნის დირექტორმა ანდრო ფაშიაშვილმა.

შევჩერდით კიტრის დამხარისხებელ დაზგასთან. ელენე შუბითიძე და ნანული ლომიძე ერთმანეთს ეჯიბრებიან. მათ მხარს უმშვენებენ ჩამწყობები თამარ ლომიძე და მზია არსანიძე, დამხარისხებელი მაყვალა ქიმერიძე და მწონავი ნაზი ქიმერიძე.

ახლა აღარ იკითხავთ მერი შუბითიძეს? იგი ქარხნის სიამაყეა. მის შესახებ ყველასგან მხოლოდ ქებას გაიგონებთ.

მარჯვენას უქებენ მოწინავე მუშებს ბონდო ბეროზაშვილს, ლილი მუმლაძეს და რუსუდან კვერნაძეს.

— ჩვენი კოლექტივის წარმატებაში თვალსაჩინო წვლილი შეაქვს მექანიკოს ჯემალ გელაშვილს, — კმაყოფილებით გვითხრა ქარხნის დირექტორმა. — იგი აწესრიგებს სახარშავ დანადგარებს. ოდნავ უწესრიგობას ხომ შეუძლია მთელი საქმე გააფუჭოს!

შესაძლოა, დედაქალაქის მომხმარებლებმა ეჭვის თვალით შეხედონ მაღაზიებში გასაყიდად გამოტანილ ამ ახალი მარკის კიტრის თუ სხვა სახის კონსერვებს. მაგრამ ნუ დაეჭვდება პატივცემული მომხმარებელი. ახალგაზრდების ხელით გაკეთებულ კონსერვებს ისეთი მიმზიდველი სურნელი აქვს, რომ მათი გემო დიდხანს ემახსოვრებათ.

ქარხანა ივლისში ამუშავდა და უკვე გამოუშვა 340 ათასი ქილა პირველხარისხოვანი კონსერვი, მათ შორის ნეჟინის კიტრის კონსერვები, დაწნილებული კომბოსტო, ნიორი, მოცვის მურაბა, ყვავილოვანი კომბოსტოს კონსერვი...

წელს მომხმარებელი მიიღებს ათასობით ქილა ტყემლისა და პამიდორის წვენს, წნილს და სხვა პროდუქციას.

ხაშურელი მეკონსერვეები მომავალი წლიდან გვპირდებიან მაღალხარისხოვანი ქართული მურაბებით და კომპოტებით დაამშვენონ საბჭოთა ადამიანების სუფრა.

ვაზი „ბუნების კარში“

„ბუნების კარში“ საქართველოში გავრცელებული მრავალი მცენარეა აღწერილი. მაგრამ ყველაზე დიდი ადგილი მაინც— საქართველოს ბუნების მშვენებას — ვაზს უჭირავს.

ი. გოგებაშვილი ფრიად საინტერესო მასალებს გვაწვდის საქართველოში მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიიდან. იგი ხშირად ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს აყენებს, რომ მათ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

ი. გოგებაშვილი ყურადღებას ამახვილებს ქართველი ხალხის ვაზისადმი სიყვარულის დიდ ტრადიციებზე, აქვე გადმოგვცემს ნინო კაპადოკიელის საქართველოში ჩამოსვლისა და ვაზის ჯვრის ამბავს.

მაგრამ ეს მშრალი აღწერა როდია, კითხულობთ ამ ძველ, თითქოს ზღაპრულ ამბავს და გხიბლავთ ავტორის შორსმჭვრეტელობა. ი. გოგებაშვილი ქრისტიანული რელიგიის საქართველოში გავრცელების ერთ-ერთი დეტალის იქით ხედავს უფრო დიდს, ეროვნულს. ნინოს მიერ შეკრული ჯვარი უფრო სამოქალაქო რელიქვიაა, ვიდრე რელიგიური.

ი. გოგებაშვილი „ბუნების კარში“ ოსტატურად აღწერს სამეურნეო საქმიანობას. იგი აღწერს წელიწადის ოთხივე დროს, გაზაფხულის სიკეკლუცესა და შემოდგომის ბარაქას, მაგრამ იგი მარტო ლამაზ სიტყვებსა და ფერებს არ სჯერდება, არამედ აღწერს წელიწადის რომელ დროს რა საქმიანობას ეწევა ადამიანი. ამით ავტორი ორ საქმეს აკეთებს: ბუნების სიმშვენიერის აღწერით ხელს უწყობს ბავშვის ესთეტიკური გემოვნების განვითარებას, მეორე მხრივ კი უღრმავებს სამეურნეო ცოდნას. აი, როგორ აღწერს ი. გოგებაშვილი შემოდგომას: „ყურძენი შემოდგომის დამდეგს სრულიად მწიფეა. ამ დროს მსხმოიარე ვაზი მეტად სასიამოვნო სანახავია. დამწიფებული ყურძენი მოკრეფას ელის. გლეხ-კაცი რთველისათვის მხიარულად ემზადება: გოდრებსა, ქვევრებსა რეცხავს. ყანის მკაც ხომ სასიამოვნო მუშაობაა გლეხკაცისათვის, მაგრამ რთველს მაინც ვერ შეედრება. ყმაწვილები აკიდოებსა სჭრიან, ერთად ჰკრეფენ და ჯაგნებს აკეთებენ“.

საქართველოს ტყეები ველური ხილის სიუხვის გამო ძველად ტყე-ბაღებს წარმოადგენდა, დღეს ტყეების არაწესიერი გაჩეხვის გამო განადგურდა კულტურული ფლორის ეს საიმედო რეზერვი. ი. გოგებაშვილი საქართველოს ტყეების თავისებურების შესახებ წერს, რომ „საქართველოს მთები შემოსილია ხშირი და აყრილი ტყით. ამ გაუვალს ტყეებში თითქმის ყველა გვარის ხე იპოვება... ამ ტყეებში ბევრგვარი ხეხილიც ხარობს და ზოგიერთი ისეთიც, რომელიც ზოგს სხვა ქვეყნებში ბაღებშიაც ენატრებათ: მსხალი, ბროწეული, ვაზი, ვაშლი, თხილი, ზღმარტლი, ფშატი. დასავლეთ საქართველოში წაბლიც ბევრია ტყეში. ბევრგან ბაღები და ვენახები გამშვენებულია სხვადასხვა ნაზი ხეხილით, რომელიც სხვა ქვეყნებში სრულიად არ ხარობს: ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ფორთოხალი, ზეთის-ხილი, ბროწეული, ყურძენი, ატამი, კომში და სხვ...“

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ი. გოგებაშვილს მევენახეობის მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად დიდი ყურადღება მიუქცევია ღვინის ხარისხისთვისაც. საქართველოს ბუნებრივი პირობები და საუკუნეების მანძილზე ხალხური სელექციით შექმნილი ვაზის ძვირფასი ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, ჩინური, მწვანე, ხიხვი, ჩხავერი და სხვა, ნორმალური მოვლის პირობებში საუკეთესო ხარისხის ღვინოს იძლევა. მაგრამ საქართველოს ღვინო—ავტორის აზრით—ხშირად ხარისხით უცხო ქვეყნის ღვინოზე დაბლა იმიტომ დგას, რომ ვენახში ვაზის ძვირფას ჯიშებთან ერთად დაბალი ღირსების პროდუქციის მომცემი ვაზებიც ბევრი ურევია, რაც ღვინოს ამდარებს.

საქართველოს უძვირფასესი ვაზის ჯიშებიდან დაბალი ხარისხის ღვინის მიღების მეორე მიზეზად ი. გოგებაშვილი ყურძნის ნაადრევ დაკრეფას თვლის და მიუთითებს, რომ ვენახი მხოლოდ მაშინ უნდა მოიკრიფოს, როცა ყურძენი სრულად დამწიფდება. ტკბილში მაღალი შაქრიანობა უნდა იყოს, რომ ღვინო ხარისხოვანი დადგეს.

ი. გოგებაშვილი აღწერს საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, მათ თვითმყოფად მიმზიდველობას, ამასთან ავტორი დაწვრილებით გვაცნობს, რომელ კუთხეში ხალხი რა საქმიანობას ეწევა, სოფლის მეურნეობის რა დარგს მისდევს, მაგალითად, კახეთს წარმოგვიდგენს ბაღ-ვენახებით მოფენილ ერთ მთლიან ზვრად. „მშვენიერი სანახავია კახეთი ენკენისთვეში, როცა რთველია და ყურძენი იკრიფება. ვენახებიდან ბევრ გვარი საამური ხმაურობა და სიმღერა მოისმის. აქ ნახავ, მთელი ჯალაბობა ვენახს შეჰსევია და დიდი სიხარულით სცარცვავს ვაზებს, იქ სოფლელები ყურძნით სავსე გოდრებს ეწევიან და ურემზედ აწყობენ შინ წასაღებად; აქ ყმაწვილებს ჯაგნები შეუკრავთ, სარებზედ გადაუკიდნიათ და მხიარულად შინ მიარბენინებენ. მთელი კახეთი ამ დროს დიდს სიხარულსა და მოძრაობაშია“.

მომხიბლავადაა აღწერილი მრავალჭიონახული მესხეთი: „ძველს დროში მთელი

ის მხარე აღყვავებული იყო; ხელოვნება და მეურნეობა ჩინებული ჰქონდა: თვითონ კლდეებში, სადაც კი ადამიანს ხელი მიუწვდებოდა, გამოპრალი იყო არხები, რომელსაც ახლაც განცვიფრებაში მოჰყვებართ, ეს ადგილები დიდრონი ქვის ზუდებით კიბე-კიბე იყო შეჭრილი და შემკული მრავალი ვენახებითა და ბაღებით. თუმცა მდებარეობა მხარესი მთა-კლდოვანია, მაგრამ მესხის ზრომამა და ხელოვნებამ ყოველ გვარს მცენარეს სული შთაბერა; აქ ისე უხვად მოდიოდა მოსავალი, რომ ოდესღაც საქართველოში შიმშილობა ჩამოვარდებოდა, აქაური პური ჰკეებავდა“.

საინტერესო ის არის, რომ „ბუნების კარში“ საქართველოს მევენახეობის რაიონების აღწერისას, ზუსტად არის წარმოდგენილი ამა თუ იმ მხარის მევენახეობის ძირითადი სპეციფიკური თავისებურებანი. დასავლეთ საქართველოს მევენახეობაში მაღლარებს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და გურიის მევენახეობის დახასიათებისას ი. გოგებაშვილი წერს: „ვენახები გურიაში ძლიერ ხეცრია, რაც ადგილი ტყით არ არის დაფენილი, უფრო დიდი ნაწილი ვენახებს უჭირავს. ვენახები აქ სულ მაღლარია, ვაზები მაღალს ხეებზეა გამბმულ-გამობმული. ვაზებს მოყვა სრულებით არა აქვს, მაგრამ მაინც ზოგიერთს ადგილებში ჩინებული ღვინო დგება. უკანასკნელს დროს ვაზის სნეულებამ ღვინის მოსავალი ძლიერ შეამცირა.“

მაღლარების სიუხვით განცვიფრებული ი. გოგებაშვილი სამეგრელოზე წერს: „მთელი სამეგრელო მოფენილია ბადესავით გამბმულ-გამობმული ვაზებით, რომელიც ერთი ხიდგან მეორე ხეზეა გადასული, ან მაღლაა ასული. ჰაერის გადამტტბული სინესტის გამო აქაური ღვინო თხელი, უოონო და წყლიანია. აქ ზზირად ნახავთ ასი წლის ვაზს, რომელსაც მეოთხედი აღლი სისქე აქვს. ხნიერი და საღი ვაზი კარგი მოსავლის დროს იმდენს ყურძენს ისხამს, რომ სამს მეგრელ კოკა ღვინოს მისცემს თავის პატრონს. სამეგრელოში რიგელი ძალიან გვიან იციან: გიორგობისთვის ადრე აქ ყურძენს არა ჭკრეფენ. რამდენადაც გვიან იკრიფება ყურძენი, იმდენად უფრო კარგს ღვინოს აყენებს. ოჯალეშს ენახებენ ქრისტეშობისთვის გასულს იკრიფება. ხანდისხან თოვლი მოუკრეფავს ენახებს მოესწრების ხოლმე, მაგრამ ეერაფერს აყენებს. ვაზის ავადმყოფობამ მეტად აზარალა სამეგრელო. ღვინო გაძვირდა“.

„ბუნების კარი“ საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ერთი პატარა სახელმძღვანელოცაა.

ა. მათიაშვილი


ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ
ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ
ᲠᲔᲠᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ



ფოტო ოთარ თურძიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა სიახლენი განხორციელდება უახლოეს დროში თბილისის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების დონის ასამაღლებლად, სავაჭრო ქსელის გაფართოებისა და ვაჭრობის ახალი მეთოდების დასანერგად?—ამ კითხვით მივმართეთ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ამხ. ი. ძებისაშვილს.

— ბევრი, ძალზე ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი წელს თბილისში—გვიპასუხა ი. ძებისაშვილმა.—გეგმით ნავარაუდევია ქალაქის სავაჭრო ქსელის ოთხმოცდაათი ერთეულით გაფართოება.



უნივერმაღი საბურთალოზე.

სასურსათო და სამრეწველო საქონლის ოცდათვრამეტი მაღაზიისა და ორმოცდათორმეტი საცალო კიოსკის, ფარდულისა და სხვათა გახსნა. ამას გარდა, გათვალისწინებულია ამჟამად მომქმედი ოთხი მაღაზიის თვითმომსახურებაზე გადაყვანა. უნდა ითქვას, რომ ასეთი ტიპის მაღაზიებმა ჩვენში დიდი პრაქტიკული გამოყენება ჰპოვეს. სამ მაღაზიაში გაიხსნება შეფუთული საქონლის განყოფილება, მყიდველს აღარ დაჭირდება აწონასა და შეფუთვაზე დროის დაკარგვა. უკეთ მომსახურებას უწყობს ხელს, აგრეთვე, გარეცხილი ბოსტნეულისა და პურის ავტომატური მაღაზიები, ასეთი ტიპის სამი მაღაზია გაიხსნება. მოეწყობა, აგრეთვე, გამოფენითა და ნიმუშებით ვაჭრობა, ხუთ მაღაზიაში შეიქმნება განყოფილება—„შეიკერეთ თვითონ“ და ა. შ.

გაფართოვდება სპეციალიზებულ მაღაზიათა ქსელიც. მოეწყობა პურ-ფუნთუშეულის, ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის ნაწარმის, თევზის, წყლისა და ნაყინის, ღვინო-არყის, ხილ-ბოსტნეულის, აბრეშუმის ქსოვილის და სხვა საქონლის ოცდაცხრამეტი სპეციალიზებული მაღაზია.

გაიზრდება საზოგადოებრივი კვების ქსელიც. თბილისის ზღვაზე აშენდება საუკეთესო რესტორანი, რომელიც ორნახევარი მილიონი დაჯდება, ასეთივე რესტორანი მოეწყობა დელისის იპოდრომზე. გაიხსნება რვა სასადილო (აქედან ორი დიეტური), თექვსმეტი კაფე-სასაუზმე, საჩაიე და ბუფეტი, ოთხი საოჯახო სამზარეულო, კულინარული ნახევარფაბრიკატების ოთხი მაღაზია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების „ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საპასუხოდ ვაჭრობის სამმართველომ გადასინჯა ქალაქის სავაჭრო ქსელის შესაძლებლობანი და შემდეგი დამატებითი ღონისძიებანი გაითვალისწინა.

ცენტრალური ტელეგრაფის გვერდით (სამხედრო ჭუჭაზე) აიგება ახალი კაფე-რესტორანი, ასეთივე კაფე აშენდება ღვინის ქარხნის გვერდით (ვლბაქიძის დალმართზე), საზაფხულო კაფე-რესტორანი—სადგურის მოედანზე და გმირთა მოედანზე. ქალაქის ახლად დასახლებულ რაიონებში გაიხსნება საბავშვო და მოზრდილთა ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ატელიეები კამოსა და პავლოვის ჭუჭებზე.

პუშკინის ჭუჭაზე მდებარე სამრეწველო მაღაზია „პასაჟი“ გადაკეთდება უნივერსალურ მაღაზიად „ბავშვთა სამყარო“, ხოლო „ბავშვთა სამყაროს“ ახლანდელ შენობაში, საფუძვლიანი გადაკეთების შემდეგ გაიხსნება სპორტული საქონლის სპეციალიზებული მაღაზია. კიროვის ჭუჭაზე მდებარე „გასტრონომი“ № 1 აღიჭურვება ახალი სავაჭრო და სამაცივრო ტექნიკით.

მოსახლეობას რომ ყოველთვის ქონდეს ახალი და ცოცხლად შენახული პროდუქტი, ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საცავებსა და მაცივრებს. ლილოში იგება საცავი, რომელიც ორი ათას ორას ტონა ბოსტნეულს დაიტევს. აქვე უკვე დამთავრებულია კარტოფილის საცავი ხუთი ათასი ტონისათვის.

მალე საექსპლოატაციოდ გადასცემენ ვაჭრობის სამმართველოს მაცივარს, რომელსაც არსებული ორასი ტონის ნაცვლად შვიდასი ტონა პროდუქტის შესანახი ფართობი ექნება.

ეს ყველაფერი წელს გაკეთდება. გაისისთვის უფრო გაიზრდება სავაჭრო ქსელი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც 1961 წელს უნდა დაიწყოს, ეს იქნება შვიდსართულიანი უნივერმაღის მშენებლობა, რომელიც საბურთალოზე, სპროტის სასახლის წინ აიგება.



რესტორანი თბილისის ზღვაზე.

კიდევ მრავალი სასარგებლო და საჭირო ღონისძიება ჩატარდება „ვაჭრობის ფრონტზე“ ჩვენს ქალაქში. ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ მომხმარებელი კმაყოფილი დარჩეს.

ირმა ჩოფიკაშვილი

ლილი ძაღლით

ბელა მირიანაშვილი

ქალი კალათით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა იანქოშვილის სურათები

ნათელა იანქოშვილის მხატვრობის თვისებრივმა ხასიათმა სახოგადოების ყურადღება უმთავრესად მიმდინარე წლის დასაწყისში მიიპყრო, საქართველოს მხატვარ ქალთა ნამუშევრების გამოფენაზე, რომელიც ცხადყო მხატვრის ნიჭი, წყრის გაბედული, სხვათაგან განსხვავებული მანერა და მისი პალიტრის სიმდიდრე, ნიორფეროვნებაზე.

ამჯერად საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში მოეწყო ნათელა იანქოშვილის 200-ზე მეტი ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებისაგან შემდგარი საინტერესო გამოფენა.

ნათელა იანქოშვილს როგორც მხატვარს მოავალი შთამაგონებელი მასწავლებელი ჰყოლია: მათ შორის რენესანსის დიდოსტატები, XIX საუკუნის ფრანგი მხატვრები, ქართველთაგან—ფიროსმანი-შვილი, გუდიაშვილი და სხვ., რაზედაც ნათლად მიგვითითებს მისი სხვადასხვა დროის ნაწარმოები. მაგრამ ნათელა იანქოშვილისათვის ყველაზე დიდი მასწავლებელი იმითავითვე თვით ბუნება ყოფილა, შეობილიერი გარემო, რომელიც მას უამრავ მასალას აწვდის და უშუალობას უნარჩუნებს მის შემოქმედებას. ალბათ, ამიტომ არის, რომ მხატვარი ყველთაად გრძნობს ქართველი სახეითი ხელოვნების ტრადიციებს—ფრესკებს, პორტრეტულ მხატვრობას, ეიროსმანს და მათ კანონიერ მემკვიდრედ, მათი მოზაპაოვრის კანონზომიერ განმგრძელებლად გვევლინება.

მხატვარი ქალის შემოქმედების მთავარი თემა ადამიანია, სწორედ ამიტომ, მას ნაოცნებარი და სინამდვილე მხატვრულ, კომპოზიციულ სინთეზში განეკუთვნიელებია. ამით ახსნება ნათელა იანქოშვილის რიგორც ემოციერსად მოპორტრეტისტი მხატვრის ჩამოდალიბებაც. მისი ინტერესის, პირველყოვლისა, სურათი—პორტრეტი შემოფარგლულ, რის შედეგადაც ხელოვანის დაკვირვებულ თვალს ჯარვმოდან არა ერთი მეტყველი ხასიათი ამოუკითხავს.

სიცოცხლის მოტრფიალე ახალგაზრდა მხატვარი ნაკლებად ეიქის ცხოვრების სიმპიპნ*ეკ*ეს, მაგრამ არც თუ მის ჭიაფილლებას და შეღამაზ*ებ*ას ცდილობს. იგი სილამაზეს ნატურის განემეორებლობაში სპეტრეტს. მის ადამიანერ თვისებათა და განცდათა სამყაროს სიღრმეში.

გასაგებია, რომ მხატვარი უარყოფს ფოტოგრაფიულ თვალთაზედვას, პორტრეტის მსგავსებას შინაგანი ბუნების გასსნით, მისი ფსიქოლოგიურად დამაჯყოფლდად წარმოსახვით განაპირობებს და ნამდვილად ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ მაყურებელი ინტერესით გასდევს გალერეის ერცელ კედლებს, სურათიდან სურათამდე.

ნათელა იანქოშვილის მიერ შექმნილი თვითეული პორტრეტი ფსიქოლოგიურ მხარესთან ერთად ეალეკეული ფერწერული ამოცანის გადაწყვეტასაც ეფსახურება, ამოცანისას, რომელსაც მხატვარი პორტრეტის ფედანარს უკავშირებს, გმირის ბუნების თვისებერებასთან შეფარდებით ფერთა ზერჩეევის გზით. ეს შედეგმარეობა კი თავის მხრივ ხელს უწყობს პორტრეტის ფსიქოლოგიურად უკეთ გახსნას და ამ რიგად იქმნება ერთი უშეკეტი რკალი შემოქმედებითი მთლიანობისა.

მხატვარი, ფერწერის ტექნიკის სხვაობათა შეაწყვლის საფფფველზე, კარგად ფლობს პალიტრას, მეტიც, იგი მხილოდ მისთვის ცნობილი ხერხებით ამდიდრებს მას, აკეთილშობილებს. მისი ფერების შუბამება მსუქეს, მოხეგბიანი და უჩვეულოა, იადუსიან ეფექტებს მოკლებელი. ამასთან, თუ ემეტის შემთხვევაში იგი არ ერიდება მკვეთრ ფერთა დაპირისპირებას („ნეკერია", „მეშახტე", „ალილი ძალლით", „ზეინაბი დედოფალთით" და სხვ.), ზეთად თავშეკავებეულ, ერთი შეიდეკეთ ძენწ ფერთა გამასაც მიმართავს: ვანწყობით ავსებ, გამოძერწილი სახეების შესაქმნელად („მამის პორტრეტი", „ნინო ჭავჭავაძე", „ირმა ჰოფეაშვილი" და სხვ.). მაგრამ რამდენი ნიუანსი აქვს მის შავ ფერს! ამასთან, განა საყურადღებო არ არის, რომ პალიტრის უკიდურ*ეს*ად დაპირისპირებული ფერები ყოველთვის ისეთ კონცეპციაში გვეგდება, რომ ისინი ერომანეთს ეხმატკბილებიან, ეხამეიან და ქმნიან ბმეიდ, დამაწყნარებელ და ეთეტიკური სიამოვნებას მომგვრელ კოლორატს. ამიტომ მხატვარს შეიძლება შეედავნ მანგრაში, ნახატში, მაგრამ აძლევო იქნება მისი კოლორატის მოლიანობის ეგეუფეგბელეყოფა, გვეერდის ეხეეგა.

მხატვარი ხარბად ეწოვება თანამედროოვებას, სოყვარულით გვაცნობს საბჭოთა საკრთველოს ყველიერ, ჩვენი ლამაზი ქვეყნის მეხოერებთა სხვადასხვა წარმომადგენელთ, მათ შორის, მოსწავლე ახალგაზრდობას, მეშახტეებსა და კოლმეურნეთა მიმზიდველ, უტყეარ სახეებს და ინანდელი მოხდენილობითა და სულისკვეთებით აჯილდოებს მათ, მაგრამ, ეს არ არის შეუსაკეკენების გარდასული რაინდული ეპოპეაესიადმი მხატვის შესმბა, ეს ჩვენი ცხოოერებისადმი მხატვის დამოკიდებულების გულწრფელი გამოვლენა უფროა, ნაფიკრისა და განცდილის წმინდა აღსარება და ჩვენი ისტორიის საამაყო შეიღთა ყველიერი ფერთოდ თანამედროვე საბჭოთა უბრალო ადამიანის დადასტეაცა, ახალი დროის ეგმირად გამოცხადება.

მხატვარი ქალის ფუნჯის პლასტიკური მონასმები, ჩქარია, თუმცა საჭიროების მიხედვით გამკესრეულე ფერეცთან ერთად, „ვეკაკეფრ" ხელწერას ფერო უახლოვდება და მის შემოქმედებაში თემატიკის თავისებერად გასსნია და გრძნობათა ჭარბათ გამოხატვის მეშვეობით თე ელინდება ატტორის არა მამაკაცური, ნაზი ბუნება. მაგრამ, მეტად საყურადღებოა, რომ სწორედ იქ მარცხდება მხატვარი, სადაც საქმე გვაქვს „ქალერრობის" გადამეტებით გამოვლენასთან. ფართო მხატვრული გაჯანების შეზხლედვასთან. ჩვენდა სასიხარულოდ ნათელა იანქოშვილის ნამუშევრები ძირითადში აკლენენ ატტორის ძლიერ, ტემპერამენტიან ბუნებას და „ქალერრი" და „მამაკაცური" შემოქმედებითი საწყისების მეტად მოხერხებულ ფერწყმას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათელა იანქოშვილის ფერწერის ბეგრდი გრაფიკული ნამუშევრები არა ნაკლები მოხდენილობითა და სიფაკეზით გამოირჩეიან. მხატვარი ერთნაირად კარგად ფლობს წიგნისა და დახეგრ გრაფიკას, ერთნაირი სიძლიერით ამტეყველებს კალამსა თე ფუნჯს, მეშაობს რა უმთავრესად ქალალდზე ტუშითა და გუაშით. ალნიშნეული ტექნიკა მხატვარს შესაძლებლობას აძლევს გრაფიკულ ნამუშეერებს შეამატოს ფერწყრის მომგებიანი თვისებები, მოხერხებულად აამტკეველოს შეტჩრეული და რომანტიულობით აღაფსოს ნაწარმოები.

თე ფერწერაში ნათელა იანქოშვილის პორტრეტებს საფიქეთად ნატურა ედგეს, გრაფიკაში მხატვარი თავის წარმოდგენებს უფრო ეკრდნობა, რადგან ამ"შემთხეევაში მისი პორტრეტები უმთავრესად ძველი და უახლოესი წარსულის კულტურის მოღვაწეთა გამოსახულებების გადმოცემას ემსახურება. მაგრამ ეს ხელს არ უშლის მხატვარს თანამიმდეკრობით შექმნას დიდი ლენინის, დანტეს, ლავრენტი არდასნიანის თე ლადო მესხიშვილის, გრიგოლ ორბელიანის, გორკის, პუშკინის, გურამიშვილის, ბერნარდ შოუს, პაოლო იაშვილის, თამარ მეფის, შალვა დადიანის პორტრეტები.

ნათელა იანქოშვილის გრაფიკული ნამუშევრების მეტად საინტერესო ციკლს წარმოადგენს „სვანური სეტტა" და აგრეთვე ლადო ავალიანის „ახალი ჰორიზონტის", ემილ ზოლას რომანის „ნანა" და ეკასნური ნოველების ყდა და სუბერი.

ნ. იანქოშვილის ეს გამოფენა მხატვარი ქალის ნიჭსა და ენერგიაზე, მის კარგ მომავალზე მეტყველებს.

გულნარა ჯაფარიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვანები

განშორების წუთები

გურული ხელადით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაჩაღის ერთი გვრიტი ვ�ცა

ბორის ჩხეიძე

მოთხრობა *)

* * *

ნაშუადღევს სამუშაოს აშვების საყვირები დიდი ხანია დაოკდნენ. ხალამო მოახლოვდა. მზე გადაესვენა თრიალეთის ხერეს გადაღმა. რაუდენ ხევურაშვილი ეზოში შემოდის. მემწვანილეს ფეხი ეშლება, ღიღინებს, ქუდს ხელში ათამაშებს, აქა-იქ გამვლელ-ნაცნობს დაიჭერს, გადაეხვევა, კოცნის, გადაკრულშია.

— ხალამო მშვიდობისა, პიღასო! გაგიგრძელდათ ძალიან შენ და შენ შვილს ბინის შეკეთება? ორი კვირაა ხაშენი მახალით, ორმოებით, ხმაურით ეზო აიღეთ. საითაც კი გაიხედავ, ყოველი მხრით, ადგილი მიწის სათხარს დამსგავსებია.

— მა რა ვქნა, ისევ ქვრივოხრულად განვაგრძო სიცოცხლე და ცხოვრება?

— ღმერთსა ვთხოვ, სულ მალე ხელი წამოგეწყოთ, რაუდენს შენი ოჯახისათვის სიკეთე არ ენანება, მაინც რას აკეთებთ? მიჩვენე ქალო!

— აგერა, თურმე ჩემ ბინაში, რად არის ცუდი გასაძლისი. მივაგენით, მივაგენით მიზეზს.

ეუბნება პიღასო რაუდენს.

შეზარხოშებული, ენაამოდგმული მეზობელი მიჰყავს პიღასოს, აჩვენებს კედლიდან ამოყრილ, ქანგისგან დასვრეტილ, ცერისსიმსხო მილის ნამსხვრევებს. მერე მათ ნადებ ბუდეზე თითს გააყოლებს.

— ჰა, უყურე შენ!—უკვირს რაუდენ ხევურაშვილს.—დიახ, აი თურმე რით დატანჯულხარ, ქალო, ამდენი წლების მანძილზე. აკი ყველას გვოცებდა, პიღასოს ბინა ნესტიანი რად არისო, ცოკოლს დაბლა ეგ არ იყო. მაგრამ მაინც გვეგონა წყალი და ნესტი კედელს ბალავრიდან სწვდებოდა.

— ეეჰ, ჩემო კეთილო მეზობელო, წყალი მე მაინდა შემომდგარი ხაძირკველ-ბალავრიდან და ის იყო. ქმარი არ მყავდა, ჩემი თავის და შვილის პატრონად არ ვვარგოდი, აი რა მოხდა: ჩემი ბინის კედელზე მიხვეულ-მოხვეულად მეზობელ ეზოში წყალსადენი გადიოდა. ახლა იგი გადავჭერით, ონკანი გაუშრათ ქშუტაშვილებს. ჰე... ჰე...ჰე... ცოტას შეხტებიან, აყვირდებიან და მალე მოისვენებენ. ჩემმა თემომ ბევრი დიდი და პატარა მილი მოიტანა. ჩემი თემო ქუჩის გასწვრივ გასჭრის ახალ თხრილებს, შიდ ახალ მილებს ჩაწყობს, დღეს არა, ხვალ, წყალგამყვან მილების შემდეგ ბლებიც მოვლენ და ქშუტაშვილებსაც დავარწყულებთ.

— ბინას რას უპირებ, პიღასო?

— ძველ შელესილ ბათქაშს ჩამოვყრით, მცირე ხანს დავაგდებთ, გამოშრება ქვიტკირი, მერე ჩემი თემო აქა მყავს და შევლესავთ.

— შელესავთ.— იმეორებს ეთერი და პიღასოს ვაუს მიმართავს: —თემო, აგრე რამ ამოგავლო ტალაში? შელესის მერმე სახლს რას უზამ?

— იატაკს გამოვუცვლი, კარ-ფანჯრის ჩარჩოებსაც ახლად ჩავსვამ, ბინას წინიდან აივანს მოვადგამ, უკანიდან, მტკვრისკენ გადასახედში, სარკმელს გავჭრი.

— უჰ, რად გინდა?

— ქალაქში ერთი გვრიტი ვიცი. დიდი ხანია დავუგე მახე, სულ მალე ორივე ფეხით გაებმება. დავიჭერ, მოვიყვან შინ, დავსვამ ჩემ ბინაში, საკენკს მივუტან ხოლმე, ბარტყებს დავაზრდევინებ იმ ლამაზ ფრინველს.

— კის... კის... კის... — კისკისებს ეთერი.— ნუ ამბობ, ჩაგიწყდეს, მოგეშალოს ენის ეგ კლიტე.

— რას ვაშავებ ვითომ ამ ჩემი ენის კლიტით?

— აშავებ და ეგრე? აშავებ კი არა, ხიბლავ!

— მანდ რა ზღაპარ-არაკში ხართ?!—შემოუძახებს ეთერსა და თემოს რაუდენ ხევურაშვილი...

— ჰო, რას ლაპარაკობთ და რაზე?— ცივი ხმით მიმართავს მის ვაუს და მეზობლის ქალს პიღასო, და სწუხს: ოჰ, ეს ბიჭები, ჩასკდნენ, ჩასკდნენ! მერე რა, რომ ერთი მათგანი ჩემი ვაუია. ისეთ რამეს იტყვიან თავიანთის მოქარგული ენით, რომ გოგოს გონს გამოაცლიან. რაო? რა გვრიტი, რა მისი ბარტყებიო? სად არის? ვის ყავს აქ, თბილისში, გვრიტები?

— გვრიტი, გვრიტი!—იმეორებს შეზარხოშებული რაუდენი და ბორძიკით შედის შინ. უკანასკნელად კარის ხაძირკველზე კი ჩაიმღერებს: —ჩიტო, გვრიტო, მარგალიტო...

შევა შინ რაუდენი, მიეფარება კარს და პიღასოც ვაუს მისდგება:

— შენ დღეს საქმე რად გააჭირე და სული ამომართვი! აკი გითხარი გოგოს მაგისთანებს არ ეუბნებიან-მეთქი.

— რად არ ეუბნებიან ამისთანებს, დედი, გოგოებს?

— აჰა, მაღალო ღმერთო, არ ეუბნებიან-მეთქი!

— მაინც რადა?

— რადაო, მეკითხება! აგრე იმ გოგოს ეტყვიან, გვრიტიო, მეგულვებაო, მახეში გავაბამო, ბარტყებს გავაზრდევინებო, რომელიც მოხწონებიათ, უყვართ, რომელსაც ცოლადაც კი შეირთავენ.

— აგრეც მოხდეს, დედი, განა ეთერი გასათხოვარი არ არის?

— ხუ... ხუ... ხუ... თემო, მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, იგიც შინაურიაო. გაგიგონია ხიმღერის ეს მოსათვალავი?

— მაშ გამოდის, გადამთიელი უკეთესია. არა, დედილო! არ მინდა გადამთიელი. განა ის არ ჯობია საცოლედ რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ, ხმა მსმენია, მისი ხილვა თვალს უხარია.

— ხუ... შვილო! აგერ ეთერი მოდის, გოგოს ყური მახვილი აქვს, ჩურჩულიც ესმის. ჩვენ კი ხმამაღლა ვლაპარაკობთ.

და მართლაც ეთერის ყურს დაუჭერია დედა-შვილის საუბარი.

— ვიზე ლაპარაკობ, აგრე, თემო? ვის შეაჩვიე თვალი? მართლა ახლოა? მეზობლის ქალია თუ ისე უმსგავსოდ ამუშავებ ენას?

ეჩხირება მოულოდნელად დედა-შვილს ლაპარაკში ეთერი. ეჩხირება და თან ნაწნავები ხელთ ჩაუბღუჯავს, ბლანდავს თმას, ბაფთებს აფრიალებს ბუმბერაზ პეპლებივით.

— ისე, ეთერიკო, მე და დედა ვლაპარაკობდით!

— მართლა, ბინა ვის უნდა მოახატვიოთ?—ეკითხება ეთერი ვაუს, რატომღაც. თუმცა მათ ლაპარაკს ასეთი კითხვა სულაც არ უნდა მოყოლოდა.

— არ ვიცი, ფული არ მყოფნის. თხრილების გაჭრაზე, კედლის შეკეთებაზე, მასალის მოზიდვაზე ბევრი დამეხარჯა.

მოჰყვა ქალის შეუფერებელ კითხვას ვაუის კიდევ უფრო შეუფერებელი აღიარება და პირველ შეუფერებელ კითხვა-პასუხს სხვებიც გამოედევნენ უკან.

— თემო, თვიურად რამდენი გაქვს გამომუშავება? ხელფასი?

— შენ რად გაინტერესებს?

— სად მუშაობ?

— მეორე დედაჩემი შენ გამიხდი! გამოკითხვებით თან ხომ არ უნდა გადამიტანო?

— კის... ჯის... კის...



*) დასასრული. იხ. „დროშა“ № 9.



* * *

წყალგაყვანილობის ოსტატები მილებს რაღაც მუხრუჭებს უჭერენ. ერთმანეთს მოარგებენ განსხვავებულ ჭრილის ხვრელებს, მერე შეადუღებენ. ლითონის და ელექტრონის ხვარხვარის თვალისმომჭრელი ელვარება და ყინულლები დგას. ეზოს შუაგულზე იქ, სადაც სველი თიხიანი მიწის ბექობია, შიშველი, წეროხებრ მაღალი, მოხდენილი ფეხებით ეთერი დაიარება.

წერწეტად, ლერწამივით უჭირავს ვარდისფერ კაბაში კოხტად გამოჭერილი სხეული. მკერდი ისე გაჭცევია წინ, გეგონება, მახათას მთის ორგორიდან, ერთმანეთის ყინზე სადაცაა წყვილად ცეცხლი ამოხეთქავსო. აფრასავით ლაღად გაშლილი, ყვრიმალებთან თმის ხაზღვარში ღრმად შეჭრილი შუბლი ქალს მზისათვის გაუსწორებია. გემის დასაბმელ ბაგირივით მსხვილი და შეწყვილებული ორი სქელი ნაწნავი ბეჭის ფრთებისკენ გადაჭყრია და ნაყოფით დატვირთულ ქლიავის ტოტებივით ნელა, მძიმედ ქანაობენ. ნაწნავის წვერები თეძოების კოტოტებს სწვდებიან, ელამუნებიან და საამურად უხიცინებენ.

— გკითხე და არ მიპასუხე: გამომუშავება, ხელფასი რა გაქვს? —კვლავ არ ეშვება ეთერი ვაუს.

— მაქვს, მაქვს, ოღონდ შენ გადამკიდეს არ ვიცი რამდენი მაქვს, რა მაქვს.

გაოგნებულივით აღმოხდება თემოს. დიახ, აქვს ხელფასი და ერთი იმოდენი გამომუშავებაც ექნება. მაგრამ აღარ ახსოვს, უფრო კი არ უნდა გაიხსენოს, რამდენი აქვს. ახალგაზრდა კაცია თემო. განა ფულზე ლაპარაკობენ... თავს ხის წვერზე შეინახავს, მარტოკა კი არა, დედას და კიდევ ორ სხვასაც დაარჩენს.

— შორს მუშაობ?—მაინც არ ეშვება ეთერი.

— დიღმის ბოლოზე.

— რას აკეთებ იქ?

— რას ვაკეთებ!

— მაინც?

— არ გირჩევ ნახო!

— ჰო, ხანდახან ორთქლმავლის მზეთავივით ტალახში ამოვლებული ბრუნდები შინ. თითქოს ქუჩაზე ავტომობილებისაგან გადღვებილი ლაფით ვედროებს ავსებ და გადაგაქვსო.

— ჰა... ჰა... ჰა... ლაფი მართლაც მაცხია ხოლმე. ჩვენ საქმეზე თეთრი ხალათით ვერ იმუშავებ.

— კის... კის... კის!.. სულ, სულ ჩურჩხელასავით მთლად ამოვლებულიც ბევრჯერ მინახიხარ. ვინ გიქნა ეგ დიდი სიკეთე, მაგეთ სამუშაოზე მოგაწყო, უმაღლესი განათლებით აღჭურვილი ტექნიკოსი? თუ, ვინ იცის, ჯერ დიპლომი ვერ დაგითრევია და...

— დიპლომი... აი, იქ მაქვს, შინ! სამუშაოზე ვინ მომაწყო და ძია ოთარმა. აი, იმან... აკი ზემოდან ჩამოდის დილდილობით ჩვენ ქუჩაზე, გრძელულვაშებიანი ბერიკაცი. დიდი ხანია არტელი „ნარდი-მარდი“ აქვს მდინარის ნაპირზე. აქამდე თურმე ცხრილი, რკინის ნიჩბები და კაცები იყვნენ მის არტელში. ახლა ტექნიკა აქვს. და მე გავმართე ის ტექნიკა იქ, მდინარის რიყეზე.

— რომელი ოთარ ძია? საბავშვო ბაღის დედაბერი მასწავლებლის ბე... ბე... რი... ქმარი?

— ის!

— კის... კის... კის...

— ნუ იცინი. ხნიერი ინჟინერები ახლოსაც არ გაიკარა, მე კი მენდო მოხუცი, ერთი განახვა რა გავმართე მტკვრის პირას.

— კის... კის... კის... სულ დანგრეული, ოთხმოცდაათი წლის მოხუცია ის შენი ნარდი-მარდის მეარტელე.

— ნუ იცინი, ნუ დაცინი-მეთქი.

— არ დავცინი, სატირალიც არა მაქვსრა.

— შენაც დაბერდები...

— კის... კის... კის...

— კის... კის... კის...—აჯავრებს ეთერს თემო...— აბა წარმოიდგინე შენი თავი ოთხმოცდაათი წლისა. ჩაიხედე სარკეში. კბილებჩაფცქვნილი, თმა გათხელებულ - გათეთრებულ - გაყვითლებული, სწორედ ძია ოთარის ცოლივით.

— ჰო... ჰო... კის... კის... კის...

— არა, არა, ისე გითხარი, ეთერ. ნუ წარმოიდგენ თავს კბილებჩაფცქვნილ ბებრად, თორემ მაგ ნაწნავებს დაგაგლეჯ.

თემო ავლებს ეთერს თმაზე ხელს.

— ვაი!— შესძახებს ეთერი.

—ხელი უშვი, დაეხსენი!—შეუღრენს საიდგანღაც გამოჩენილი პიღახო ვაუს. — გასწი აქედან. მეარტელე გეძახის, მოედანზე გიცდის, ჩვენთან ბიჭი გამოუგზავნია.

— თემო, მაშ შენ მეარტელესთან ერთად მტკვრის პირზე მიხვალ?—ეკითხება ეთერი.

— ჰო, აბა მასთან ერთად სხვაგან სად წავალ!

— მე არასოდეს არ წამიყვან თან იქ?

— რად მინდიხარ?

— მაჩვენებ, რას აკეთებ და როგორია შენი არტელი ნარდი-მარდი მანქანებით.

— რად გინდა?

— ისე, უთუოდ კარგი ხანახაობაა. მაშ, აბა, რად გესვრება შენი პრეზენტის პიჯაკი, შალვარი, ბრახუნა ჩექმები და გახებეროებული ქუდი?

— არასოდეს! შენ იქ არა გესაქმებარა.

— ვნახავ, შენთან ერთად იქნება მეც ვიმუშაო.

— ბებერ მასწავლებელ ქალს შეეხვეწე, საბავშვო სახლში გიშოვოს სამსახური.

— არა!

— არა კი არა, ჰო! მამაკაცის საქმეში, რიყეზე სამუშაოდ ნუ ეჩრები. ქალი და რიყეზე, მტკვრის პირას, არტელ ნარდი-მარდში!

— სადა ხარო?

— მტკვრის კალაპოტში, ზედ წყლის პირას, თოვლჭყაპში, ქარიშხალსა და მოდიდებულ ტალღებში, ნახვამდის!

— უჰ, რა კარგია! მაცადე მე შენ! ვიცი გზა მტკვრის პირისაკენ.

ხტუნაობს გრილ მიწის ბექობზე ეთერი და თან ხელებში ათამაშებს ნაწნავებს.

* * *

ცაზე ცისკარი გაჩნდა, ღამე ეყრება დღეს, ნაწყენ-გამგუნებული სიბნელე მიიპარება შორს ქალაქის არემარედან. შფოთიანია მტკვრის კალაპოტი. ერთ ადგილას ექსკავატორი დგას, „კავროვეცი“ უნდა იყოს. ცამდე აწვდენილ ანძაზე სახაპავი ჭკიდია, რომელიც დროდადრო მდინარეში ჩაეცემა. მალე ისევ გამოჩნდება, როცა ფოლადის ტროსები ამოსწევენ, ამოვა და ამოიღებს ღორღს. მერე ისევ შეტრიალდება, ჩაჭურის ნადავლს დამხარისხებელ ქარხნის ზედა ბუნკერში. ბრაგვანის ხმამ იქაურობა შეარყია. იგი ქალის ყურსაც მისწვდა. აი, აქ არის. მდინარის კალაპოტში რაღაც ოთხკუთხი ბეტონის სვეტი დგას —რკინის ხლართებით ზემოდან. ეთერი მას ამოეფარება. გარშემო ყველაფერს ხედავს და ესმის. მას კი ვერავინ ამჩნევს, რადგან ჯერ კარგად არ გათენებულა. თუნდაც დაინახონ ვინ იფიქრებს, ეთერიაო.

— კის... კის... კის... რა მოხერხებული ყოფილა თემო. აი, თურმე, რა მშვენიერი ადგილი მოუნახავს სამუშაოდ. აგერ ის, თვითონ თემოც. პატარა ფარდულში იმალება, როცა გარეთ არაა.

ბუნკერზე მილებით წყალია აყვანილი მორევიდან. როცა ექსკავატორი ბუნკერში ღორღს ჩაუშვებს, მაშინ წყალიც აბუყბუყ-აჩქრიალდება, ბუმბერაზი ხუნდიც დატრიალდება. წყალს ბუნკერიდან ვეებერთელად, დიდად, პატარად, კიდევ უფრო პატარად, პატარად და დაუსრულებლად პატარად დახვრეტილ მრგვალ, გრძელ დოლში ჩააქვს ღორღი. როგორც კი მქნევარა გადატრიალდება, მიწაზე სხვადასხვა ადგილზე გროვდება დახარისხებული, ქვაფენილის მრგვალი რიყე, საასფალტედ დასანაყი წვრილი ქვა, რკინა-ბეტონის ხრეში, სილა პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე ხარისხისა. დაბოლოს, ბუნკერში, დოლსა და ღორღში ნამარი წყალი აუზში გროვდება, ილექება. თურმე ესეც საჭიროა ქალაქისათვის. დიახ, ამას ხედავს შორიდან ეთერი ბეტონის ოთხკუთხა, ელექტრონის ანძის საძირკველს ამოფარებული. და განა მარტო ამას. მთავარი სხვაა. აი ძია ოთარი მისი გრძელი ულვაშებით. ნეტავი ულვაშებს თემოც დაიყენებს? აი თვითონ თემოც გამოვიდა თავის სამალავიდან. მუშები და თვითონ ძია ოთარიც მოკრძალებით არიან მასთან. მაგრამ ეყოფა ამდენი თვალის სეირი ეთერს. უეცრად ქალაქიდან მტკვრის კალაპოტში დიდი ჯაჯაჯაყით შემოვიდნენ თვითმცლელები. ათი, ოცი, ორმოცი, ერთად მიადგნენ არტელ ნარდი-მარდის ქარხანას. რიგრიგობით მოდიან, პირთამდე ივსებიან, იტვირთებიან და მიდიან, მიბობღავენ, ისმის რკინის ღუნვის ზრიალ-ლაწუნი.

— ნეტავი სად მიდიან თვითმცლელები?

ამახაც გაიგებს ეთერი. ჯანი გავარდეს საფარს. იქ მანქანების ორომტრიალთან სადღაც თემოა და, ბეტონის კედელთან ატუზვას, მის ახლოს ყოფნა ჯობია.

— სად მიაქვთ ამდენი სილა-ხრეში?

— ეთერ, შენ აქ რა გინდა?

— სად მიაქვთ? რად მიაქვთ?

— ეთერ, შენ აქ რა გინდა?

— სად მიაქვთ? რად მიაქვთ?

— იქ მიაქვთ, სადაც საძირკვლებს ახხამენ და კედლები აჰყავთ.

— და მაინც, შენ, აქ, თემო, რას აკეთებ?

— რას ვაკეთებ! თუ მე აქ არ ვიქნები, იქით ექსკავატორი, აქეთ ღორღის დამხარისხებელი მანქანები არ იმუშავებენ, ვერც თვითმცლელები დაიტვირთებიან.

— მაშ შენ... კის!.. კის!.. კის!..

— ახლავე გაქრი აქედან, ეთერ! მიდი ჩვენს ეზოში, მამიშენის კიბეზე აღარ შეუხვიო, პირდაპირ ჩემ ბინაში შედი, აღარსად გახვიდე გარეთ. შენ ხარ ის გვრიტი...

— ვიცი, ვიცი! დიდი ხანია ვიცი! მივალ და ხომ არაფერს გამატან? თუნდაც ერთი ქვა და ან პეშვი სილა მისახსოვრე.

— აჰა, ეს წაიღე.

მივარდება თემო ეთერს, ნაწნავების ბოლოებს წყვილად უტაცებს ხელს, ტუჩებთან მიიტანს, ეშთხვევა.

— ჰა?—კითხულობს გაოგნებული ეთერი.

— ჰა, და გასწი!

— რაო, რა?

თემო კიდევ კოცნის ნაწნავის ბოლოებს.

— ჰო, გასაგებია, წავიღებ, მივიტან შენ სახლში და იქ გექნება, სანამ, სანამ... სანამ... სამარეში ჩავალ, კის... კის... კის...

გიორგი შაგბერაშვილი

მოვდივარ

მოვდივარ, მიმიღებ თუ არა,
ვბრუნდები, გამიღებ თუ არა—
დახშულ კარს, დახშულ გულს
გამიღებ თუ არა?
ვინ იცის... ვინ იცის,
გამიგებ თუ არა,
ოცნების მაღალ კოშკს
ამიგებ თუ არა?
გამიგებ?.. გამიგებ
მაგ გულის ფიანდაზს?.
რა ვიცი... ვინ იცის...
ხომ არ დაგვიანდა?..

ჩემი გულის გამლექსავს

განა ყველა ლამაზ ქალს —
ჩემს ქუჩაზე გამვლელსა,
არა, მხოლოდ, მხოლოდ ერთს
შევავედრებ ამ ლექსსა...
ჩემი გულის გამლექსავს,
ჩემი ლექსის სალესავს...
ნეტავ ახლა სად არის,
ან რომელსა მხარესა?

* * *

წლები მიდის, ჩვენ ერთმანეთს ვერ ვხვდებით...
ჩემს ფანჯრის წინ ჩურჩულებენ ვერხვები.
წლები მიდის, წლები მიდის თუ ჩვენ მივ...
თუ ჩვენ მივალთ... ჩურჩულებენ ტუჩები.
წლები მიჰქრის, წლები მიჰქრის, დრო მიდის.
შენ სხვისი ხარ, მაგრამ მაინც მომინდი!
შენ სხვისი ხარ, ვიცი გულიც იცვლება,
არ იცვალოს, მაინც არ შეიძლება!
წლები მიჰქრის... წლები მიჰქრის, დრო მიდის,
ვიცი, მაგრამ... მაგრამ, მაინც მომინდი.
ფანჯრების წინ, აგერ, წყვილი მიმოდის...
იცინიან... შენ კი არ მიღიმოდი.

სიყვარულსა მალვა უნდა

ვიცი, დამემდურები,
ვიცი, გამიხელდები,
წაიკითხავ ამ ლექსებს —
უცებ ამიღელდები!
მე ტრფობა ვერ დავფარე
ვერც შენი და ვერც სხვისა,
რჩევა არ გამომადგა—
რჩევა: ვინმე მესხისა;
ვერა და ვერ დავმალე,
თუმც დამალვად მიღირდა,
ნაპარევი ქურანი
მუდამ ამიჭიხვინდა!
განა მე არ შემეძლო, მემალა და მეფარა,
ვინ შემომხვდა, ვინ დამწვა, გზაზე ვინ შემეყარა,
გულში ვინ გამიყარა ულმობელი ლახვარი,
გზისპირს გადამეყარა ყვავილები ახალი.
... ის მკვდარია, რაც გულში წლობით მინამქრულია...
თუ ნიავმაც არ იცის, ის რა სიყვარულია!
მშვენიერო სულისავ,
ნურაფრის გეშინია,
შენ გეკუთვნის ეს გული—
სიყვარულიც შენია!

პირველი ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ პეტრიაშვილი

ბალადა ბებერზე

ჩაჟანგებული გუთანი, ყუამომტყდარი
თოხი,

გამახსენებენ პაპაჩემს,
კაცს ნამგალივით მოხრილს.
სიბერის ჟამზე მოუსწრო
მოღლილს ოქტომბრის შუქმა.
გუთნისდედობა ითავა,
როდი გაჩერდა უქმად...
მშვიდობას დავუდარაჯდი და
ყამირებსაც ვტეხდი.

მოვდივარ,
მოხუც პაპაჩემს ჩავუვარდები ფეხთით.
ვაი, რომ არ დამიხვდება,
ვეღარ გამატანს საფქვავს,
მთვარის ნათელი ადგია,
იმის პატარა საფლავს.

*
* *

ბალტიისპირეთში გემზე გვაწვიმდა
და ნიანგივით იწვა
კუნძული.
ო, მომენატრა ჩემი მთაწმინდა,
ჟუჟუნა წვიმით
ჩამოწუწული.
საქართველოში მწიფდა მაყვალი,
იდგა გორული ატმის სურნელი,
აგვისტოს მთვარე იყო მაყარი
და ილეოდა ღვინო სურებით...
ტალღა აბზინდა,
როგორც აბზინდა,
ნაპირს გაექცა—მკლავებს ქალწული...
საქართველოში თითო ვაზიდან
ჩამოდის თითო ქვევრის საწური.

ქავქაზის ოჩოფეხები

მთებს იქით დარჩა ჩემი სოფელი,
მე მას დავშორდი?
თუ ის დამშორდა?
აი იქ შედგა ოჩოფეხებზე
ჩემი ბავშვობა.
მეჯუდის ტოტში ვიჭერდი თევზებს,
ტუჩს ვიღებავდი მაყვალ-თუთებით.
ჩამძინებია მეურმის მკლავზე,
როცა წისქვილში საფქვავს ვუთევდი.
კვლავ გავიხსენებ
ყოველგვარ წვრილმანს!
ჩიტის ბუდეებს ვანგრევდი როგორ,
დამდევნებია ჟუჟუნა წვიმა,
ვით მოკლეკაბა მეზობლის გოგო.
მეც მიკრეფია ტყისპირში მარწყვი,
როცა მარწყვისფრად ღვიოდა ზეცა.
გზასავით მოკლე შარვალიც მეცვა,
მთებისოდენა ფიქრების ყმაწვილს.
მჭერია ჭრელი ნაჭრების ჩანთა,
როცა სკოლისკენ ვიკვლევდი ბილიკს.
ჰაუ, მაშინ გზა რა დიდი ჩანდა
და მოსაპარი ხილივით ტკბილი.
ასეთი არის ჩემი წარსული
დიდი სიცოცხლის
პატარა სიყრმე.
ქვეყნიერების საწყის-სასრული
მეგონა ცხელი მეჯუდის რიყე.
დრომ თუმცა უკვე კაცად მაქცია,
მაინც აივნის ბოძებს ვეხვევი.
პაპის ყავარჯნის გვერდით აწყვია
ოჩოფეხები,..

ზოთა ხოდაშნელი

სიცოცხლე



ადიდებული მდინარეები
გზას დაუღლია...
დაფიქრებულა ლოდი ვეება.
გაზაფხულია...
წელთაგან ლოდი დახაზულია
როგორც წერილი...
მასზე ბალახის ერთი ღერი
ამოწვერილა...
ამოსულა და გახარებული
ქარზე ტრიალებს...
გაზაფხულია.
ჰოი, სიცოცხლის ძალავ,
ხმიანობ?..

ჩანჩქერი



...და მოფრინავენ, მოფრინავენ
ცივი შხეფები
მაღალი კლდიდან...
დგახარ და უსმენ... ხედავ და
ხვდები და გიხარია,
რომ დგახარ ახლოს და
გაყინული გაქვს
სველი ფეხები
და შენც რატომღაც,
რატომღაც
გინდა იქცე შხეფებად,
გაიელვო და
ამათსავით შეგხედოს ვინმემ...
რა ხმაურია!
ეს ჩანჩქერი
საუბრობს ისევ...
დგახარ და ისმენ...

ჟურნალი ვიეტნამიდან

ნინო ჩიხლაძე

ვიეტნამი და საქართველო თუმცა დაშორებულია ერთმანეთს, მაგრამ მეგობრობისათვის მანძილს მნიშვნელობა არ ჰქონია.

ლიანა ლორიამ და ფან-ვან-ტონმა მოსკოვში გაიცნეს ერთმანეთი. იგი შორეულ ვიეტნამიდან ჩამოვიდა მოსკოვში კომკავშირის მუშაკთა ერთწლიან კურსებზე. მის გარდა ამ კურსებზე სწავლობდნენ სხვადასხვა ქვეყნის: საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, მონღოლეთის ახალგაზრდებიც.

ქართველმა კომკავშირელმა ქალიშვილებმა დაპატიჟეს უცხო მეგობრები ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დასკვნით კონცერტზე.

დამეგობრდნენ, შემდეგშიც ხვდებოდნენ ერთმანეთს, უამბობდნენ თავიანთი ქვეყნის ამბებს. გადაწყვიტეს სისტემატური მიმოწერა ჰქონოდათ, რაც კიდევ უფრო განამტკიცებდა მათ მეგობრობას.

პირველ ბარათს დიდხანს არ დაგვიანებია.

„ორ აგვისტოს სადამოს გამოვედი მოსკოვიდან. ამჟამად ვარ საბჭოთა კავშირის საზღვარზე. კიდევ ათი დღე და ვიქნები ჰანოიში. მე ყოველთვის მემახსოვრები შენ და ჩვენი მეგობრები. ყველაფერი შეიძლება შეცვალოს დრომ, მაგრამ არასდროს არ შეიცვლება ჩვენი მეგობრობა.

მართალია ვიეტნამი შორს არის საქართველოდან, მაგრამ ვიეტნამის გული ახლოა მასთან. ვიეტნამელებმა იშვიათი მეგობრობა იციან, როცა ისინი უმეგობრდებიან ერთმანეთს, იმ მეგობრობას ღრმამოხუცებულობამდე, კბილების ჩაცვენამდე ინახავენ... სიყრმეში შეძენილ მეგობრებს ისინი სიკვდილამდე არ კარგავენ.

რამდენი კარგი მოგონება დამრჩა საბჭოთა კავშირზე... თუმცა მხოლოდ ერთი წელიწადი ვცხოვრობდი მანდ. ლიანა, რამდენად მე მიყვარს საბჭოთა კავშირი, იმდენად მიყვარხარ შენ... მე მჯერა, რომ ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს ვიეტნამში, და ოდესმე ჩამოხვალ ჩემი სამშობლოს, მზიური ვიეტნამის სანახავად.

თუ ჩამოხვალ ვიეტნამში, ჩამოდი აუცილებლად გაზაფხულზე და თუ შენ გეოგრაფიის მასწავლებელი ხარ, მაშინ უფრო ნათლად გაიგებ, რა არის გაზაფხული აქ.

ხოლო თუ პოეტი ხარ, მაშინ უამრავ ლექსს დასწერ, გაზაფხულზე, სიცოცხლეზე, სიყვარულზე, სიკეთეზე“.

პირველ წერილს მალე მეორეც მოჰყვა.

„დღეს მე ვიპოვე „მოლოდიოჟ მირა“, რომელშიაც ფრანგულად დაბეჭდილია მოთხრობა ჩვენს ვიეტნამელ ქალიშვილზე—თხან-თი-ლიზე. აი, მე ამოვჭერი ეს სტატია და გიგზავნი შენ... შენს წინაშე არის ქალიშვილი თხან-თი-ლი, ვიეტნამის სახელოვანი კომკავშირელი გოგონა. იგი დაპატიმრეს და აწამეს სამხრეთ ვიეტნამში, მან არც კი იცოდა, თუ რამდენჯერ დაჰკარგა გრძნობა ამ წამებისა და მიყენებული ჭრილობებისაგან. იგი გამოიქცა ჩრდილოეთ ვიეტნამში და ახლა საავადმყოფოში მკურნალობს.

ეს ახალგაზრდა ქალიშვილი 26 წლისაა, დაბადებულია ტრან-თინამში (სამხრეთ ვიეტნამში) —ის ბრძოლა კოლონისტების წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი მონაწილე და თავდადებული მებრძოლი ვიეტნამის გაერთიანებისათვის.

ამის გამო ნგო-დინ-დიემის პოლიციამ მიაყენა მას არაადამიანური წამებანი.

ვიეტნამელი ხალხი, არასოდეს არ აპატიებს სამხრეთ ვიეტნამელ კოლონისტებს მამაცი ვიეტნამელი ქალიშვილის მხეცურ წამებას.

ლიანა, შენ ხომ იცი, რომ სამხრეთ ვიეტნამი ჯერ კიდევ იმყოფება ომის სისხლსა და ცეცხლის შუა... სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული მთავრობა და ამერიკელები ამზადებენ თერმოტათასიან ჯარს უდანაშაულო მშვიდობისმოყვარულ პატიოსან ადამიანების წინააღმდეგ. ისინი ჭკლავენ, სწვავენ, აუპატიურებენ ქალებს, იყენებენ თვითმფრინავებს, ტანკებს უიარაღო ხალხის წინააღმდეგ.

ე. მესხი

როდესაც საბჭოთა ქალის გამო ვიწყებთ ლაპარაკსა და წერას პირველივე სიტყვიდან ვახსენებთ თავდადებულ შრომას, სამშობლოსადმი უანგარო სამსახურს, ოჯახის ერთგულებას, მომავალი თაობის აღზრდაზე ზრუნვას, ფაქიზ გრძნობებს... მაგრამ აქა-იქ ჯერ კიდევ თავს იჩენს ის რასაც ჩვენ გადანაშთებს, სიმახინჯეს, ხორცმეტს ვეძახით.

... ეს ამბავიც ერთ-ერთ ასეთ მახინჯ გამონაკლისს ეხება.

* * *

ის დღე უცნაურად დაიწყო.

ის იყო, მუშაობას უნდა შევდგომოდი, როდესაც მდივანმა მომახსენა, ერთ პატარა გოგონას თქვენი ნახვა სურსო.

კარი ფრთხილად შემოაღო ათი-თორმეტი წლის გოგონამ. მომიახლოვდა და მორცხვად შემომხედა შეშფოთებული თვალებით.

უნებურად გამეხსნა შუბლი. რატომღაც ძალზე მომინდა მოვფერებოდი. უჩვეულო მწუხარება აღბეჭდილიყო ბავშვის სახეზე. მის ქერა თმას, მბრწყინავ ცისფერ თვალებს, თითქოს, ჩრდილი მიჰფენოდა. გავუღიმე. .შესაგებებლად ადგომაც კი ვერ მოვასწარი, იგი ადგილს მოსწყდა, შემომეხვია და ჩემს მკერდში ჩამალა სახე. ბავშვი კანკალებდა, ხმას არ იღებდა, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ ჩამოსდიოდა ღვარად ცრემლები.

— ვინ გაგაჯავრა,—შევეკითხე და თავი ფრთხილად ავუწიე.—აბა ცხვირსახოცი მომეცი... ჯიბიდან უხმარი ცხვირსახოცი ამოვიღე და ცრემლები მოვწმინდე.—რა გქვია?—შევეკითხე, რაკი ხმას არ იღებდა.

— რაია,—მიპასუხა და ჩამოშლილი თმა უკან გადაიყარა.

— ახლა ეს მითხარი, რატომ მოხვედი ჩემთან? დალაგებით მიამბე. ოღონდ არ იტირო, შენ ხომ უკვე დიდი გოგო ხარ!...

რაიამ აღელვებით დაიწყო:

— ჩვენს ეზოში ზოია კაზაკოვამ თავისი ძუძუმწოვარა ბავშვი მოჰკლა...

უნებურად წამოვიჭერი ფეხზე. ყურმილი ავიღე, ავკრიფე ნომერი, რაიონის პროკურორს და გამომძიებელს საქმის ვითარება გავაცანი.

ყურმილი დავკიდე. რაიას გადავხედე, შემკრთალი გამოიყურებოდა. დავუყვავე. მერე მდივანი ვიხმე და ვთხოვე, ბავშვი სასწრაფოდ მიეყვანათ სახლამდე. რაია დამემშვიდობა და თავჩაღუნული გავიდა კაბინეტიდან.

სამედიცინო ექსპერტისა და თანამშრომლების თანხლებით ჩვენც მალე გავემგზავრეთ. წინასწარ დავზვერეთ კაზაკოვას ბინა, დავკითხეთ მეზობლები, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ამის თაობაზე რაიას მეტმა არავინ არაფერი იცოდა. შევედით კაზაკოვას ბინაში. იგი 28-30 წლის ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა. ჩვენს დანახვაზე გაფითრდა, შიშნარევი, გაბზარული ხმით იკითხა:

— რა გნებავთ?

— თქვენი ბავშვი სად არის?

— აგერ, საწოლში ძინავს.

მე გაოცებით გადავხედე რაიას, რომელიც კარს იქით იდგა და გაფართოებული თვალებით შემომცქეროდა. კაზაკოვა მივიდა ჩამოფარებულ ფარდასთან. მის იქით პატარა საწოლში ბავშვი იწვა და ჩვილისათვის დამახასიათებელი ღიმილით შემოგვცქეროდა. გულზე მომეშვა. უცებ ვიგრძენი, გვერდით ვიღაც ამომიდგა და სახელოზე ხელი შემახო.

— რაია, შენ აქ რა გინდა?—დაუყვირა დიასახლისმა.

— დეიდა ზოია, მე გაგი მინდა ვნახო.

— გაგი დედამისმა წაიყვანა.

— არაფერიც, ის თქვენ წუხელ სახლის უკან, ეზოში დამარხეთ. ეს მე თვითონ დავინახე.

ზოია კაზაკოვა გახევდა.

— მართალია თუ არა, რასაც ბავშვი ამბობს?—მკვახედ შევეკითხე.

ზოია სდუმდა, თან თითებს იმტვრევდა მღელვარებისაგან.

— რაია, გვაჩვენე ის ადგილი...—მივმართე გოგონას.

— მე თვითონ გაჩვენებთ,—წამოიძახა კაზაკოვამ უძლური სასოწარკვეთილი ხმით.

ეზოში გავედით. ერთ ადგილას უამრავი ნარეხურა იყო შექუჩებული. ახალნაყარი მიწა სავსებით ჯერ კიდევ არ გამშრალიყო. მალე გამოჩნდა არცთუ ისე ღრმად ჩაფლული ჩვილის გვამი. სამედიცინო ექსპერტმა ბარი გვერდზე მიაგდო და ხელებით შეუდგა მიწის ამოყრას. ისე ფრთხილად იღებდა მიწას, თითქოს ეშინოდა ბავშვისთვის არაფერი ევნო.

— ახლა რას იტყვით?—მივმართე კაზაკოვას.

— მე არაფერში არა ვარ დამნაშავე. ეს სულ მისი ბრალია... პატარა გაგი მე არ მომიკლავს. იგი მომაკვდავი ჩამაბარა დედამისმა...

ბავშვის გვამი სამედიცინო ექსპერტს გავატანეთ საავადმყოფოში სიკვდილის მიზეზის დასადგენად, ჩვენ კი კვლავ ბინაში შევბრუნდით. მისი დაკავება არ მივიჩნიე მიზანშეწონილად, ჩვილი ბავშვის დედა იყო. ჩემს თვალსაზრისს სხვებიც დაეთანხმნენ. ამიტომ დაკითხვას იქვე მის ოთახში შევუდექით.

— ვისია მკვდარი ბავშვი?—შევეკითხე.

ქალი შეყოყმანდა.

— მიპასუხეთ,—მკაცრად ვუთხარი მე.

კაზაკოვა შეკრთა. ამ დროს ბავშვმა ტირილი დაიწყო. ქალი ადგა და მის საწოლს მიაშურა. იგი ხმადაბლა აწყნარებდა პატარას. საწოლს ფარდა ჩამოაფარა, ბავშვი აიყვანა, აკოცა და ძუძუ მისცა.

ოცი წუთის შემდეგ ისევ გამოვიდა ჩვენთან. საოცარი იყო, ამხანაგების სახეებზე ისეთი თანაგრძნობა და სიბრალული ამოვიკითხე, რომ კინაღამ გადავწყვიტე, დაკითხვა გადამედო. საქმიდან თითქოს წინასწარ ჩანდა, რომ ეს ქალი ბავშვის მკვლელი თუ არა, თანამონაწილე მაინც უნდა ყოფილიყო, მაგრამ რატომღაც გვებრალებოდა.

— ვინ არიან გარდაცვლილი ბავშვის მშობლები?—განმეორებით შევეკითხე ქალს.

იგი ერთ ხანს ჩაფიქრდა და მერე დაიწყო.

„— დედა, თინა ჩარხიანია, მამას არ ვიცნობ.

ისინი ცდილობენ სამუდამოდ გაჰყონ ჩვენი მიწა-წყალი, გაჰყონ თვით ჩვენი ადამიანური გრძნობები. და აი, თუმცა მე და შენ შორს ვცხოვრობთ ერთმანეთისაგან, მაგრამ ყოველ კვირაში შენგან უფრო ადვილად ვღებულობ წერილს, ვიდრე სამხრეთ ვიეტნამიდან, რომელიც ჩვენგან დაშორებულია მხოლოდ 800 კილომეტრით, იქ ამჟამად იმყოფებიან ჩემი მშობლები.

დაე, ნურასოდეს ნუ იქნება ასეთი ვარამი და დარდი შენ და შენი ამხანაგების ცხოვრებაში. დაე, ნურასოდეს ნუ ენახოთ იმათ ომის საშინელებანი.

უამბე შენს ამხანაგებს, რაზედაც მე გწერ. დაე, იცოდნენ მათ, თუ როგორ იქცევიან ამერიკელები სამხრეთ ვიეტნამში.

შენი თანაგრძნობა ლიანა, შენი მეგობრების სამართლიანი სიტყვა, საბჭოთა ხალხის სიძულვილი აგრესორების მიმართ დაგვეხმარება ჩვენ, რომ შევაჩეროთ ამერიკელი იმპერიალისტების ბინძური ხელი გაშვერილი სამხრეთ ვიეტნამისკენ.

სანამ ერთი ამერიკელი მაინც იქნება ჩვენს მიწაზე, მანამ ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იქნება გაყოფილი ორ ნაწილად, ჩვენი გრძნობებიც გაყოფილი იქნება და არასოდეს არ მექნება საშუალება ჩემს მშობლებთან მიწერ-მოწერისა და მათი ნახვისა".

18 მარტს ტონის დაბადების დღეს ლიანამ წერილთან ერთად შ. ნუცუბიძის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი" გაუგზავნა.

„დიდი მადლობელი ვარ შენი,— მწერდა ტონი. დიდი ხანი არ არის, რაც აქედან გაემგზავრა ჩვენი პიონერული დელეგაცია საბჭოთა კავშირიდან, თან გაჰყვა ჩემი სული... მე ვმუშაობ ახლა აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებაში. ჩვენ ბევრი სამუშაო გვაქვს და ცოტა დრო მაქვს თავისუფალი. იმ თვეში ჩვენ ვატარებდით ჩრდილოეთ ვიეტნამის სოციალისტურ შრომის მოწინავეთა შეკრებას. ჩქარა შენ წაიკითხავ ახალ სტატიას ვიეტნამის ახალგაზრდებზე."

1959 წლის მიწურულში ლიანას კვლავ მოუვიდა წერილი.

„25 დღე საავადმყოფოში ვიწექი მალარიის შეტევის გამო. ამან შეაფერხა ჩვენი მიწერ-მოწერა.

ჩვენთან უკვე ნამდვილი ზაფხულია. აქ 40 გრადუსი სიცხეა, მაგრამ ჩვენ ვმუშაობთ თავაუღებლივ მზის ქვეშ. არა გვაქვს არც არდადეგები, არც დასვენება... ჩვენი ქვეყანა ჯერ არც ისე მდიდარია... ბევრი რამ გვაკლია... ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვაშენოთ, რომ მალე ავაშენოთ სოციალიზმი... აი, რატომ დამიგვიანდა წერილის გამოგზავნა.

ლიანა, როცა შენ მოგზაურობ, დადიხარ ტყეში სოკოსათვის ანდა სალაშქროდ ლამაზ ადგილებში ამას შენ აკეთებ მხოლოდ შენი სიამოვნებისათვის. სულ სხვაა ჩვენი ვიეტნამელი ახალგაზრდობა, მათ შორის შენი ტონიც, თავგამოდებით შრომობს მშენებლობაზე, სოფელში მინდვრად ჩენ ვთხრით მიწას, ვაშენებთ კაშხალებს, გაგვყავს რკინიგზა, აი, დღესაც ოფლში გაწურულნი ვაშენებთ ახალგაზრდობის პარკს. ხედავ, ყველაფერი ეს მხოლოდ დასაწყისია დასაწყისისა, ახალი ბედნიერი ცხოვრებისა, რომელსაც ვაშენებთ ჩვენი ხელით.

ათი წელი, ლიანა, ვმონაწილეობდი ომის საწინააღმდეგო ბრძოლაში იაპონელების წინააღმდეგ და ვიყავი ოჯახიდან შორს, სანამ ინდოეთ-ჩინეთის მშვიდობის ზავი დამყარდებოდა. ამ ათი წლის განმავლობაში პირველად მხოლოდ სამხრეთ ვიეტნამში გამგზავრების წინ ვნახე დედა და დები. აი, მას შემდეგ სული წელიწადია, ხუთი ახალი წელი, ხუთი გაზაფხული... მოუთმენლად ველი მათთან შეხვედრის წუთებს... მაგრამ ვცხოვრობ ჩემი მეგობრების — მხარდაჭერით, შორეული მეგობრების თანაგრძნობით, როგორც შენა ხარ... ჯერ არც სატრფო მყავს, რადგან საუკეთესო წლები გავიდნენ მძიმე ბრძოლებში.

მე მჯერა ბედნიერების... ველი ბედნიერებას, ოდესმე ჩემს ცხოვრებაშიც აყვავდება შესანიშნავი ვარდები.

გიგზავნი ვიეტნამულ ხის ქოშებს სახსოვრად. აქ ქოშებს აკეთებენ ხისაგან, ძალიან ადვილად—ვიეტნამელი გოგონები მთელი წელიწადი დადიან ამ ქოშებით მზის, წვიმის მიუხედავად... აქ ცხელა და იშვიათად იცვამენ ტყავის ფეხსაცმელს... ხის ქოშების კაკუნი ისეთი სასიამოვნო და ლამაზია, რომ ისინი მაგონებენ ოცი წლის ქალიშვილის გულის ცემას... შეინახე იგი სახსოვრად და, როცა ჩაიცვამ, მოიგონე ვიეტნამი და მე."

... თინა ჩარხიანი ექიმია, მუშაობს ქალაქის № საავადმყოფოში. მას ძუძუ ჰქონდა გამშრალი, ამიტომ მომბარა თავისი ბავშვი. პატარა გაგი ჯანმრთელი ბიჭუნა იყო. ძალზე ბევრს ჭამდა. დედამისი 400 მანეთს მიხდიდა თვეში. ამ სამი კვირის წინათ დედამ წაიყვანა და მხოლოდ ოთხი დღის წინათ დამიბრუნა. ბავშვი ნაავადმყოფარი და დაუძლურებული ჩანდა. ძუძუს ვეღარ სწოვდა. ვცადე მაწოვარათი როგორმე გადამეყლაპებინა რძე, მაგრამ ღებინება დაიწყებინა. დედამისი საშინლად განიცდიდა ბავშვის მდგომარეობას. სულ სტიროდა. მეც ხომ დედა ვარ, მთელი არსებით მეცოდებოდა იგი. ერთ დღეს თინამ რაღაც გადაუდებელი საქმეები მოიმიზეზა და წავიდა. ბავშვი მე დამიტოვა. გაგის სამი დღე ძალით ვკვებავდი, მაგრამ საჭმლის მონელება მას უკვე აღარ შეეძლო. ერთი რამ მიკვირდა: როგორ გაუძლო დედის გულმა ამდენი ხნით მიეტოვებინა მომაკვდავი პირმშო.

შიშმა შემიპყრო. მეშინოდა ბავშვი ხელში არ შემომკვდომოდა. მეოთხე დღეს, როგორც კი მოვიდა თინა, მივეგებე და ვუთხარი:—გაგი ძალზე ცუდადაა, სასწრაფოდ უნდა მივიყვანოთ ბავშვთა კონსულტაციაში-მეთქი. თინამ უცნაურად, როგორც მაშინ მომეჩვენა, ბოროტადაც კი გადმომხედა და არაბუნებრიული ხმით მითხრა: „რა საჭიროა ექიმი? მე თვითონ ვარ ექიმიცა და კონსულტანტიც, სამწუხაროდ, მას აღარაფერი ეშველება".— მართლაც, რამდენიმე საათის შემდეგ ბავშვმა სუნთქვა შეწყვიტა. თინა ერთ ხანს დამწუხრებული დასცქეროდა გაგის, მძიმედ ამოოხრა და მითხრა: „ახლა რაღა ვქნა? ქმარმა თავი დამანება, როგორ დავკრძალო საჯაროდ ბავშვი, რომელსაც მამა არა ჰყავს? ეს ჩემი თავის მოჭრა იქნება, მირჩიე როგორ მოვიქცე?"

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გადავწყვიტეთ, ბავშვი სახლის უკან ეზოში დაგვემარხა. აი სულ ეს არის,"—დაამთავრა კაზაკოვამ. გამომძიებელი გულდასმით იწერდა ჩვენების ყოველ წვრილმანს.

ქალმა უყოყმანოდ მოაწერა ხელი დაკითხვის ოქმს.

ბოლოს შევეკითხე:

— მიგაჩნიათ თუ არა დანაშაულად, რომ ბავშვი ფარულად, დამით დამარხეთ და ისიც ეზოში?

კაზაკოვა საშინლად გაფითრდა.

— ყოველივე ამისათვის თინა ჩარხიანმა სამი ათასი მანეთი მომცა. მე ხომ გაჭირვებული ქალი ვარ. რა უნდა მექნა?

ჩვენ უხმოდ გადავხედეთ ერთმანეთს, ერთხელ კიდევ შევათვალიერეთ ოთახი და გარეთ გამოვედით.

* * *

დაუყოვნებლივ ვაფრინეთ კაცი საავადმყოფოში, სადაც თინა ჩარხიანი მუშაობდა ექიმად, მაგრამ იგი იქ არ აღმოჩნდა. „დედა ჰყავს მომაკვდავი ავადმყოფი და ტყიბულში წავიდაო". დავაზუსტეთ მისი დედის საცხოვრებელი ადგილი, დავუკავშირდით ტყიბულს, მაგრამ თინას კვალს მაინც ვერ მივაგენით. როგორც იტყვიან,—ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ,—ვერაფერი გავიგეთ. თინა ჩარხიანი უგზოუკვლოდ გაქრა.

პატარა გაგის გვამის გაკვეთის შედეგად გამოირკვა რომ იგი ხანგრძლივი შიმშილისაგან დაღუპულიყო. აშკარად ჩანდა, ჩარხიანმა წინასწარი განზრახვით აშიმშილა იგი, მერე სიკვდილის პირას მიმდგარი ჩააბარა ზოია კაზაკოვას... მაგრამ ისიც შესაძლებელი იყო, რომ ყოველივე ამაში იგი შეთანხმებოდა კაზაკოვას ქალს. ჩარხიანის გამოჩენამდე ეს ამბავი უცნაურ თავსატეხად რჩებოდა.

* * *

თინა ჩარხიანის ცხოვრებაში 1943 წელი იმით აღინიშნა, რომ მან სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა და კურსდამთავრებულთა უმრავლესობასთან ერთად უფროსი ლეიტენანტის ხარისხით სამხედრო სამსახურში იქნა გაწვეული. მიუხედავად იმისა, რომ იგი აზიზად იყო აღზრდილი, ფრონტულ ცხოვრებას მალე შეეჩვია. როდესაც საბჭოთა არმიამ ჩვენი მიწა-წყალი გაათავისუფლა და გერმანიის ტერიტორიაზე შედგა ფეხი, თინა ჩარხიანი ხხვა ნაწილში გადაიყვანეს, სადაც გაიცნო მაიორი იოსებ ელიავილი. ეს ახალგაზრდა ოფიცერი ერთბაშად იპყრობდა ადამიანის ყურადღებას. თავისი წარმოსადეგი აღნაგობით, ზრდილი და დარბაისლური ქცევით. ჩინებული მოსაუბრეც იყო იოსები. ჯარისკაცები აღმერთებდნენ თავიანთ მეთაურს. მას ვერასოდეს ნახავდით დალვრემილს. ბრძოლის დროს მშვიდად და უბრალოდ ეჭირა თავი. ხოლო შესვენებისა და გართობის წუთებში სულითა და გულით ეძლეოდა მხიარულებას თავის მებრძოლებთან ერთად.

თინა ჩარხიანი ქალთა იმ ტიპს ეკუთვნოდა, ქუჩაში გამვლელ მამაკაცთა უმრავლესობას რამდენჯერმე უკან რომ მოახედებს ხოლმე. მისი გარეგნობა მნახველთა აღტაცებას იწვევდა.

თინამ და იოსებმა ბრძოლის მთელი სიმძიმე ბერლინამდე ერთად გადაიტანეს. 9 მაისს ბერლინში შეხვდნენ, ომის დამთავრებაც აქ მიულოცეს ერთმანეთს... ვაუკაცს, რომელიც ბრძოლაში წონასწორობას არასოდეს ჰკარგავდა, ახლა ქალმა დაუბნია გონება. „ეჰ, რა დროსა ვარ ცოლიანი?"— მწარედ გაიფიქრა მან.

თინა ჩარხიანს კორპუსის სამედიცინო სამსახურის ბინაში მისცეს ერთი ოთახი, რომელიც მესამე სართულზე იყო მოთავსებული. იოსები მისი ყოველდღიური სტუმარი გახდა. დაუახლოვდნენ ერთმანეთს. თინა მთელი არსებით მიენდო ვაჟკაცს, დანებდა მას ნებაყოფლობით, მაგრამ ამ გამარჯვებამ ელიავილს მხოლოდ გული დასწყვიტა. მას მოსვენებას არ აძლევდა თინას წარსული.

ვინ ცხოვრობდა პირველად მასთან? ვინ იცის, ერთხელ შეცდა თუ... ფიქრობდა იგი. ყოველ წუთს ეჭვი გონებას უფორიაქებდა, ჯავრი გულს ულრღნიდა. ველარ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, გრძნობდა კი, რომ საქმის ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა.

„თუმცა რა მესაქმება მის წარსულთან? რად ვიფუჭებ გუნებას? ცოლად ხომ მაინც ვერ შევირთავ."

ქალი თითქოს მიუხვდაო, რასაც ფიქრობდა იოსები. გადასწყვიტა თვითონ ეამბნა თავისი თავგადასავალი.

... „მე დიდი ხანია მინდოდა ყველაფერი მეთქვა, მაგრამ რაც ჩვენ შორის მოხდა, მოულოდნელი იყო ჩემთვის... ეს მესამე კურსზე ყოფნის

ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲢᲝᲒᲝᲜᲘᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲒᲝᲒᲚᲘᲫᲔ

სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

— ლილი გელოვანი და მანანა ტოგონიძე.

მანანამ 1951 წელს დაიწყო ჭადრაკის თამაში. მისი პირველი მასწავლებელი იყო დედა—საქართველოს არა ერთგზის ჩემპიონი ლილი გელოვანი. ამის შემდეგ მანანამ მეცადინეობა დაიწყო პიონერთა სასახლეში და დაუღალავი მუშაობის შედეგად მალე პირველი სპორტული თანრიგი მიიღო. 1954 წელს მანანა ბრწყინვალე შედეგს აღწევს—იგი ხდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გოგონათა შორის. გადის ოთხი წელი და იგი თბილისისა და საქართველოს ჩემპიონია. მანანა სამჯერ გავიდა საბჭოთა კავშირის პირველობის ფინალში. 1956 წელს იგი ნონა გაფრინდაშვილთან და ზატულოვსკაიასთან ერთად იყოფს 7-8-9 ადგილებს.

ამას წინათ, თბილისში ჩატარდა ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სსრკ-ს, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, გდრ-ს და იუგოსლავიის 12 უძლიერესმა მოჭადრაკემ. ამ ტურნირში, როგორც ცნობილია, გამარჯვებულნი გამოვიდნენ ვოლპერტი (I ადგილი) და ნონა გაფრინდაშვილი (II ადგილი), მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა მანანა ტოგონიძემ. ეს სპორტული შედეგი ყველაზე მნიშვნელოვანია მანანას საჭადრაკო კარიერაში. მან გამოამჟღავნა საუკეთესო თვისებები—ზუსტი პოზიციური თამაში და კომბინაციური შესაძლებლობანი. ე. ბილეკნესთან გათამაშებული პარტიისათვის მანანამ მიიღო სპეციალური „სილამაზის“ პრიზი.

დროს შემემთხვა. ნამდვილად მიყვარდა... ჯარში გაიწვიეს და დაიღუპა. მეტს ვერაფერს გეტყვი, რადგან ამ მხრივ, ჩემი წარსული ძალზე ღარიბია და უფერული“,—ბოლო სიტყვები ქალმა ათრთოლებით წარმოთქვა და თვალებზე ცრემლი გადმოუგორდა.

იოსებს უხიამოდ გააკრუჭლა.

— ცოლშვილიანი ვარ.—აი ჩემი აღსარებაც.

თინა გველნაკბენივით წამოვარდა. ერთ ხანს დაბნეული შეხცქეროდა და მერე წყნარად წარმოთქვა:

— ჩემს სინდისთან, ჩემს ქალურ პატიოსნებასთან რაღა გინდოდა? აქ ხომ უკვე ყველამ იცის, რომ მე და შენ ახლო ურთიერთობაში ვართ?!

— მერე რა? აქ ხომ თბილისი არ არის?

— იოსებ, თავს მომაკვლევინებ!

ვაუმა ცივად შეხედა. ადგა. ტანსაცმელი გულდასმით გაისწორა და გავიდა.

* * *

ზაფხულის ერთ მუუდრო საღამოს, ბერლინში, ფრიდრიხშტრასეზე, ხხვა მოხეირნეთა შორის, გამოჩნდნენ საბჭოთა ოფიცრების ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი და მამაკაცი. ისინი წყნარად მოხეირნობდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, რაღაცაზე დავობდნენ.

— უკანასკნელად გეკითხები, მოაწერ თუ არა ხელს?—დაძაბული ხმით შეეკითხა ქალი.

— არა,—დინჯად უპასუხა მამაკაცმა.

ამ დროს ქუჩაში გამოჩნდა სწრაფად მომავალი მანქანა, რომელსაც საბჭოთა ოფიცერი მართავდა. თვალის დახამხამებაში ქალი წინ გაიჭრა და გზატკეცილზე გაწვა, მძღოლმა დამუხრუჭება მოასწრო. ქალი გადარჩა. ამ ამბავმა ბერლინში საბჭოთა ჯარების სარდლობის ყურამდე მიაღწია. იოსებ ელიაშვილი და თინა ჩარხიანი შტაბში გამოიძახეს. მაიორ ელიაშვილს საბჭოთა არმიის ოფიცრის შეუფერებელი საქციელისათვის საყვედური გამოუცხადეს და დაავალეს, ურთიერთობა ჩარხიანთან კანონიერად გაეფორმებინა. სამხედრო სამსახურში ბრძანება კანონია. სამამულო ომის პერიოდში სამხედრო ნაწილებს ჰქონდათ ქორწინების მოწმობის გაცემის უფლებაც და ასეთი მოწმობა ელიაშვილსა და ჩარხიანსაც მისცეს.

1945 წლის ოქტომბერში ელიაშვილმა შვებულება აიღო და სამშობლოსაკენ გამოსწია. ხარკოვში თინა ჩარხიანი დაეწია და უსაყვედურა:—უჩემოდ რად გამოიპარეო. ხარკოვს რომ გამოცდნენ, ელიაშვილმა შენიშნა, რომ მისი საბუთები სადღაც გამქრალიყო, მათ შორის საზღვარგარეთ დაბრუნების „ვიზაც“.

აწრიალდა იოსები. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ თავისი საბუთების კვალს ვერ მიაგნო, მწარედ დაღონდა.

— საბუთებს მხოლოდ მაშინ მიიღებ, თუ აქედან პირდაპირ ტყიბულში წავალთ დედაჩემთან. მე მგონია მაქვს უფლება, ეს რომ შენგან მოვითხოვო. მე ხომ კანონიერი მეუღლე ვარ შენი,—უთხრა ჩარხიანმა.

შვებულება ტყიბულში გაატარეს და შემდეგ ისევ ბერლინში დაბრუნდნენ ერთად.

* * *

ერთ დღეს ელიაშვილთან უმცროსი ლეიტენანტი მასლოვი გამოცხადდა და უთხრა:

— ამხანაგო მაიორო, მე დემობილიზაციით სამშობლოში ვბრუნდები. მინდა ამხანაგებს დავემშვიდობო და პატარა სუფრას ვმართავ. გთხოვთ თქვენც გვეწვიოთ.

იოსები ხიამოვნებით დაეთანხმა.

გამოსათხოვარმა საღამომ მხიარულად ჩაიარა. იოსებ ელიაშვილმა მოხიბლა ყველა მშვენიერი სიმღერითა და ვაუკაცური გულითადობით. როცა მისი ხადღეგრძელო შეისვა, შეზარხოშებულმა მასლოვმა მისი მეუღლეც ადღეგრძელა და სხვათა შორის დახძინა:—ბედნიერი ხარ, იოსებ, თინას გაგიყვანია უყვარხარ. გახხოვს, მანქანას ბორბლებში როგორ ჩაუვარდა? იმ მანქანას მე ვმართავდი. ის სცენა მე და თინამ წინასწარ შეთანხმებით გავითამაშეთ. დიდხანს არ ვთანხმდებოდი, მერიდებოდა თქვენი, მაგრამ მერე მითხრა, თუ ამას არ გააკეთებ, მართლა მოვიკლავ თავსო. დამნაშავე ვარ შენთან. არ შემეძლო ეს არ მეთქვა შენთვის...

მაგრამ ელიაშვილი უკვე აღარ უსმენდა. ოფიცრებს მადლობა გადაუხადა დღეგრძელობისათვის, მერე სასწრაფო საქმე მოიმიზეზა და დაემშვიდობა ამხანაგებს. „მაშ თავის მოკვლის სცენა გაითამაშა, ეს ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით ჩაიდინა და არა ჩემ მიერ თქმული უარით გამოწვეული სულიერი აღელვების გამო? მართლაც ბრიყვი ვყოფილვარ!.. მაგრამ რას ვღელავ? მეც რომ არ მიყვარს? მას შემდეგ, რაც მისი წარსულის შესახებ ზოგი რამ შევიტყვე, განა შემიძლია მიყვარდეს იგი?.. განა ყოველდღე არ ვცდილობ გავშორდე მას? ახია ჩემზე! ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. როგორ ჩავიდინე ასეთი რამ, მე ხომ ბავშვის მამა ვარ!.. ახლა კი მორჩა, გათავდა, დღეიდან მე თინა ჩარხიანთან საერთო აღარაფერი მექნება. მასლოვის შესახებ კი არაფერს ვეტყვი“,—ფიქრობდა იოსები.

1946 წლის მაისში იოსებ ელიაშვილი და მისი მეუღლე დემობილიზებულთა სიაში მოხვდნენ და სამშობლოში გამოემგზავრნენ. იოსებს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, გაეწყვიტა ურთიერთობა ჩარხიანის ქალთან.

თინას თითქოს გულმა უგრძნო... იოსების სახლში არ ყოფნის დროს მთელი ბარგი თავის სახელზე გააფორმებინა და ყველაფერი თავისი დედის მისამართით გაგზავნა ტყიბულში. იოსებს ხმა არ ამოუღია, იცოდა, დავა ამაზე აქ უნაყოფო იქნებოდა.

ტყიბულში ჩასვლისთანავე ელიაშვილმა გადაჭრით განუცხადა თინას,—მე შენთან ცხოვრება არ შემიძლიაო. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ შეთანხმდნენ, რომ იოსები დაბრუნდებოდა თავის ცოლშვილთან, ხოლო მთელი მისი შენაძენი თინასთან უნდა დარჩენილიყო.

თინამ ამ მოქმედებით საბოლოოდ გამოამჟღავნა თავი. იოსებს უკვე ეზიზღებოდა ქალი. იგი ხრულიადაც არ სწუხდა თავისი ნივთების დაკარგვაზე, პირიქით, ამაში ხედავდა თავისი საქციელის ერთგვარ მორალურ გამართლებას. იოსები გამოემგზავრა თბილისში და თინა ჩარხიანის სახელი მალე დავიწყებას მისცა.

7986

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა და ლარისა ვოლპერტი.

საერთაშორისო ტურნირზე სპორტული და შემოქმედებითი მიღწევების გამო საქართველოს საჭადრაკო ფედერაციამ შუამდგომლობა აღძრა საკავშირო საჭადრაკო ფედერაციის წინაშე მანანა ტოგონიძესათვის სსრკ-ს სპორტის ოსტატის წოდების მინიჭების შესახებ. მანანა კარგად უთავსებდა ერთმანეთს ინსტიტუტში სწავლასა და საჭადრაკო შეჯიბრებებში მონაწილეობას. წელს მან წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიური ფაკულტეტი.

ვუსურვოთ მანანას კიდევ უფრო აემაღლებინოს თავისი ოსტატობა და რესპუბლიკის საუკეთესო მოჭადრაკეებთან ნონა გაფრინდაშვილთან და ელისო კაკაბაძესთან ერთად წარმატებით გამოსულიყოს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატებში.

ქვემოთ ჩვენ მოგვყავს სხვადასხვა შეჯიბრებებზე მანანას მიერ გათამაშებული პარტიების დაბოლოებანი.

ტოგონიძე



საბირუკვა

ეს პოზიცია მიღებული იქნა თეთრების მე-19 სვლის შემდეგ. პარტია გათამაშდა სსრკ-ს საგუნდო პირველობაზე 1955 წელს. მანანას მოწინააღმდეგე იყო უზბეკეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი. მანანას აქვს მცირე პოზიციური უპირატესობა, რომელსაც საოცარი სიზუსტით იყენებს.

19... ლf6 20. მფg1 ლc6 21. კb2 კf5 22. ლc3 ლa6 23. a4 ლe2 24. ლc1 კd3 25. h3 კf8 26. მf3 კc2 27. ლd2 ლ:d2 28. მ:d2 e6 29. კc3 კa3 30. a5 მფf8 (ლაზიერების გაცვლის შემდეგ შავებმა შეასუსტეს თეთრების ლაზიერის ფრთა. ახლა შავები გადაიყვანენ ამ ფრთაზე თავიანთ მეფეს, სწორედ ეს გადასწყვეტს პარტიის ბედს). 31. მფf1 მფe7 32. მფe2 მფd6 33. b4 მფc6 34. მf3 f6 35. მფd2 კb3 36. მფd3 კc4+ 37. მფc2 მფb5 38. მd2 კ:b4 39. კ:b4 მ:b4 და თეთრები რამდენიმე სვლის შემდეგ დანებდნენ.

* * *

მაგრამ თინას არ დავიწყებია იოსები. იგი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა დაებრუნებინა იძულებითი საქორწინო აქტით გაფორმებული ქმარი. ერთ დღეს იოსებმა მიიღო თინასაგან გამოგზავნილი წერილი. ქალი სთხოვდა, შეხვედროდა უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის გამო. ელიაშვილი შეეყოყმანდა, მაგრამ მცირე ფიქრის შემდეგ თავის ბინაში ინახულა ჩარხიანი.

ისინი ცივად შეხვდნენ ერთმანეთს. საუბარი როგორღაც ვერ აეწყო. ქალი თავდახრილი იჯდა, იოსების ყურადღება თინას წამოზრდილმა მუცელმა მიიპყრო და ალმური შემოეენთო სახეზე. თინამ წამსვე შენიშნა ეს ცვლილება, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ფეხმძიმედ ვარ... ნუ შეწუხდები...—სწრაფად დასძინა ქალმა, რაკი დაინახა, იოსებს სახე შეეშმუხნა.—მე არავითარ ვალდებულებას არ გაკისრებ, მხოლოდ მინდა ვიცოდე, მისცემ თუ არა ბავშვს შენს გვარს?.. ის ხომ შენი შვილიცაა. იგი ყველაფერში უდანაშაულოა. მე არ მინდა ჩემი შვილი „უკანონოდ“ იწოდებოდეს. აი ეს მსურდა მეთქვა შენთვის.

იოსებს მკაცრად შეკრული ნაკვთები შეურბილდა, სახე მოერღვა და ლმობიერად მიაჩერდა აცრემლებულ ქალს...

— ამას რა კითხვა უნდა, მეტსაც ვეტყვი. მისთვის ნამდვილი მამა ვიქნები. გთხოვ, არ ინერვიულო, ბავშვს არაფერი ეშნოს. სხვა არაფერი შემიძლია... რაკი ასე წავიდა ჩვენი ცხოვრება, დაე, მივყვეთ კვალდაკვალ.

იოსები წამოდგა, უხერხულად შეიშმუშნა და სწრაფად გაემართა კარისაკენ.

* * *

თინამ მოიმშობიარა და ბიჭი შეეძინა. იოსებს ვაუი არ ჰყავდა და ამ ამბავმა იმდენად გაახარა, რომ ყოველდღე დადიოდა სამშობიარო სახლში, შემდეგშიც ყოველ საღამოს დადიოდა იგი თინასთან ბინაზე. უსაზღვრო სიხარულმა მოიცვა მისი გული. თითქოს ათი წლით გაახალგაზრდავდა. თინამ მიაღწია თავის საწადელს.—ისევ დაიბრუნა იოსების კეთილგანწყობილება. იმედიც ჰქონდა, ხულ მალე საბოლოოდ დაეუფლებოდა მის გულს. შეიძლება ეს ასეც მომხდარიყო, მაგრამ საქმე შეტრიალდა.

ერთ საღამოს თინა სახლში არ დაუხვდა. იოსებმა მოსახსნამი გაიხადა, კარადა გამოაღო და წიგნის კითხვას შეუდგა. ამ დროს კარზე დააკაკუნეს. იოსებმა გაიხედა. მის წინ უცნობი ქალი იდგა. თავაზიანად შეიპატიჟა სტუმარი, ქალი ოთახში შემოვიდა.

— თინა გნებავთ, არა?

— დიახ!

— მისი კოლეგა ხომ არ ბრძანდებით?

— არა.

— მაშ?

— მე თინას შვილობილის დედა ვარ.

იოსები ტყვიანაკრავივით წამოიჭრა და გაოცებული თვალებით მიაჩერდა ქალს.

— რაღაც ვერ გავიგე, ქალბატონო!

— დიახ, მე გაგის დედა ვარ. თქვენ, ალბათ, მიხი მეუღლე ბრძანდებით. მე მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ, კი არა გთხოვთ გევედრებით... გაგის ნუ მოაკლებთ მზრუნველობას, გაზარდეთ საკუთარი შვილივით! მე არ მაძლევენ მშობლები უფლებას, მარტოხელა დედის სახელი ვატარო, თორემ მეც გავზრდიდი როგორმე. არ გეწყინოთ, ბატონო... ასეთი ყოფილა დედის გული...

იოსები გაოგნებული შესცქეროდა ქალს. ბოლოს როგორც იქნა, ამოღერღა:

— მაშ გაგი თქვენი შვილია?

— არ იცოდით?

— საიდან უნდა მცოდნოდა, თინა ხომ ფეხმძიმედ იყო?

— არა... თინას უნდოდა, ბავშვი უშუალოდ სამშობიარო სახლიდან წამოეყვანა, რომ მერე ბავშვისათვის არავის წამოეძახა, „ბუში ხარო“. მან განზრახ შექმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ფეხმძიმედ იყო და სამშობიარო სახლში დაწვა. იქ ნაცნობმა ექიმებმა ანგარიში გაუწიეს და როგორც მშობიარე ქალი ისე მიიღეს. მაშინ მეყოლა მე ჩემი გაგი. მისი სახლში წაყვანა არ შემეძლო. ბავშვი თინამ აიყვანა და თავისად გაიფორმა. მიკვირს, რომ ეს ამბავი არ იცით.

— ყველაფერი ვიცი, ყველაფერი გავიგე...—ხმის კანკალით უპასუხა იოსებმა. იგი ძლივს იკავებდა თავს, რომ არ ეყვირა. უცებ გიუივით დაავლო მოსახსნამს ხელი და სწრაფად დაეშვა კიბეზე.

ამის შემდეგ თინა და იოსები ერთმანეთს აღარ შეხვედრიან. მარტოდ დარჩენილი თინასათვის სხვისი ბავშვი ზედმეტი ბარგი შეიქნა. იგი მან კაზაკოვას ჩააბარა, ხოლო მკითხველმა უკვე იცის რა ბედი ეწვია პატარა გაგის.

რამდენიმე ხნის შემდეგ კი თინა ჩარხიანი სულით ავადმყოფთა თავშესაფარში იქნა აღმოჩენილი.

* * *

სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის კაბინეტში თათბირი მიმდინარეობდა. აქ იყვნენ გამოძიების მონაწილენი. თინა ჩარხიანის საქმე ირჩეოდა. ყველაფერი წვრილმანებამდე გამორკვეული და დაზუსტებული იქნა. კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა.

ყურმილი განყოფილების უფროსმა აიღო. მან შუბლი შეიჭმუხნა და თათბირის მონაწილეთ გადახედა. მას რაიონის პროკურორი გიორგი ჯიმშელაშვილი ელაპარაკებოდა.

— დიახ,—უპასუხა განყოფილების უფროსმა,— ისევ სიმულაციაა... ისევ როლის თამაშს განაგრძობს. თინა ჩარხიანი სავსებით ჯანმრთელი აღმოჩნდა, ასეთია ექსპერტის დასკვნა, დანარჩენი თქვენ იცით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. ზვორიკინა



ტოგოლნიძე

მანანას მოწინააღმდეგე ამ პარტიაში გახლდათ სსრკ-ს **არა ერთგზის** ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი კირა ზვორიკინა. მანანამ მიაღწია დიდ პოზიციურ უპირატესობას და გადამწყვეტი იერიში მიიტანა შავების მეფეზე.

20... ბc7 21. ბf7 ე:f7 22. ef+ მფ:f7 23. ეf e1 კf6 24. ლe2 კd7 25. კf4 ლf8 26. ეad1 ეd8 27. ლd2 მფg8 28. კg5 ლf7 29. ეe2 ეe8 30. ე:e8 ბ:e8 31. ეe1 კ:g5 32. ლ:g5 ბf6 33. h4 მფf8 34. h5 მფg7 35. b3 ბ:d5 36. h6+ მფf8 37. ლd8+ კe8 38. კb5, შავები დანებდნენ 38... ბe7, თეთრები ადვილად იგებენ **39. კ:e8 ლ:e8 40. ლ:d6,** და შავებს არაფერი აქვთ სათამაშო.

ე. ბილეკნე



მ. ტოგოლნიძე

ამ შეხვედრაში მანანამ მიიღო პრიზი „ულამაზესი“ პარტიისათვის. ედიტ ბილეკნე უნგრეთის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა.

11. f5! კ:g2+ 12. მფ:g2 მbd7 13. h3 მe8 14. g4 ლd8 15. g5 f6 16. h4 (მანანა თამამად **უტევს** მეფის ფლანგს) **16... მb6 17. მg3 ეf7 18. ეh1 d5 19. h5! fg 20. hg hg 21. fg ეd7 22. cd cd 23. ბf5 de 24. ლb3+ მფf8 25. ბ:e4 მd5 26. ბ:g5 ლb6 27. ლ:b6 ab 28. ეh8+!!** (ეტლის ლამაზი **შეწირვაა,** რომელსაც მივყავართ **შამათამდე) 28... კ:h8 29. მe6+ შავები** დანებდნენ, **რადგან** მომდევნო **სვლაზე** შამათდებიან.

ეკონომისტური ოსტატობა

(საუბარი ბ. პაიჭაძესთან, მ. მესხთან და შ. იამანიძესთან)

თბილისში დიდი ინტერესით მოელოდნენ ბრაზილიის თასის მფლობელის სან სალვადორის «ბაიას» ჩამოსვლას. ეს მოლოდინი ძალზე ბუნებრივი იყო: «ბაია» არის იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომლის ფეხბურთმაც მოიპოვა საერთო აღიარება და მოწონება მთელს მსოფლიოში.

ბრაზილიური ფეხბურთის დიდი გამარჯვებები განაპირობა შემდეგმა გარემოებამ; მათ კარგად შეათანხმეს ერთმანეთთან სამხრეთამერიკული ვირტუოზული ტექნიკა ევროპულ კოლექტივიზმთან, თავიანთი პირადი თვისებების გათვალისწინებით გამოიმუშავეს თავდასხმისა და თავდაცვისათვის მეტად რაციონალური სქემა 1—4—2—4.

მიუხედავად იმისა, რომ «ბაიას» შემადგენლობაში არ იყო არც ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ბრაზილიური ფეხბურთისა, თბილისელ გულშემატკივრებს მაინც შეეძლოთ ბრაზილიელთა თამაშის სტილითა და ინდივიდუალური თავისებურებებით გარკვეული წარმოდგენა შეემუშავებინათ მსოფლიო ჩემპიონებზე. მით უმეტეს, რომ «ბაიამ» მიმდინარე წელს მიაღწია დიდ წარმატებას: მოიპოვა ბრაზილიის თასი. მან ფინალში დაამარცხა უძლიერესი კლუბი «სანტოსი», რომლის შემადგენლობაშიც არიან მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები პელე, პეპე, კუტინიო და სხვები.

ჯერ კიდევ თამაშის დაწყების წინ გავარჯიშებაზე—ბრაზილიელებმა ტექნიკური ტრიუკების ისეთი ფეიერვერკი მოაწყეს, რომ შეშინებულმა მაყურებლებმა უნებურად გაიფიქრეს, ამის მესამედს თუ მაინც აკეთებენ თამაშის დროს, ცუდად ყოფილა ჩვენი საქმეო.

მაგრამ თამაშის დროს ბრაზილიელებმა ვერ აჩვენეს თვალისმომჭრელი ტექნიკა.

თბილისელთა გამარჯვებამ დიდი ანგარიშით (4 : 0) ერთგვარი დაბნეულობა შეიტანა მაყურებლებში.

ამიტომ ჩვენ ვთხოვეთ სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბორის პაიჭაძეს გამოეთქვა თავისი აზრი ბრაზილიელთა შესახებ და მოეხდინა სათანადო შედარება მსოფლიო ჩემპიონებთან, რომლებიც მან შვეიცაში ნახა. აგრეთვე ვთხოვეთ თავისი აზრი გაეზიარებინათ ჩვენი მკითხველებისათვის მ. მესხს და შ. იამანიძეს, რომლებიც უშუალოდ იბრძოდნენ ბრაზილიელთა წინააღმდეგ.

ბორის პაიჭაძემ განაცხადა:

— «ბაიას» თამაში მაგონებს ბრაზილიის ნაკრების თამაშს, მაგრამ საკმაოდ მცირე მასშტაბით.

მათ აქვთ მსგავსი სტილი თამაშისა, ზუსტი გადაცემები, მრავალგადაცემიანი კომბინაციები, გარღვევები ფრთებიდან (რაც ვერ გვანახეს «ბაიას» გარემარბებმა), უზუსტესი დარტყმები და რთულ სიტუაციებში გარკვევის საოცარი ალღო. ამას ყველაფერს თან ერთვის ძალიან მაღალი ტემპი.

მიუხედავად იმისა, «ბაია» არცთუ ისე სუსტი გუნდია, როგორც ეს თბილისელ მაყურებელთა უმრავლესობას ჰგონია.

რით გაიმარჯვეს ქართველმა ფეხბურთელებმა? ტემპით და მაღალ ტემპში ტექნიკური ხერხების კარგი შესრულებით. გარდა ამისა, ბრაზილიელთა ზონალური დაცვა ძალზე ხელსაყრელი იყო დრიბლინგის ისეთ ოსტატებისათვის, როგორებიც არიან მესხი, იამანიძე, ღოღობერიძე, ბარქაია.

მაყურებლებს ნუ გამორჩებათ მხედველობიდან, რომ ამ თამაშით მათ მიიღეს დიდი სიამოვნება. ასეთი ტკბობის მიღება კი შეიძლება მხოლოდ მაღალტექნიკური გუნდების თამაშისას. ეს იყო სეზონის ერთ-ერთი ულამაზესი მატჩი.

მკითხველებს, რასაკვირველია, აინტერესებთ, ბოლოსდაბოლოს, როგორები იყვნენ ბრაზილიის ნაკრების ვარსკვლავები. მოვიყვან ერთ შედარებას:

გარინჩას აქვს შეუდარებელი სტარტი 5-10-15 მეტრ დისტანციებში. ეს კი სავსებით საკმარისია გარემარბებისათვის. გარდა ამისა, გარინჩა თამაშში ჩართულია ყოველ მომენტში და მისი მოქმედების არეს წარმოადგენს მთელი მოედანი, დაწყებული საკუთარი კარიდან. გარინჩასთან შედარებით მესხს აქვს ტექნიკური უპირატესობა, მაგრამ იგი ნაკლებად მოძრაობს, ელის ბურთს. მისი უბურთოდ მანევრირება კი პარტნიორებს უძნელებს ბურთის მიწოდებას. ბრაზილიელთა მარცხენა გარემარბს—ზაგალოს კი მესხი ნამდვილად სჯობია.

ბრაზილიის ნაკრების ძლიერების საიდუმლოებას ის კი არ წარმოადგენს, რომ ისინი «ზებუნებრივი» ნიჭით დაჯილდოებულნი არიან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბრაზილიის ნაკრებში არ იყო სუსტი ადგილი, გუნდის 11 მოთამაშეთაგან 11-ივე ვარსკვლავი იყო.

მიხეილ მესხმა ჩვენთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

— მე ძალზე მომეწონენ ბრაზილიელები. ძალიან სასიამოვნოა მათთან თამაში.

რასაკვირველია, «ბაია» არაა საუკეთესო წარმომადგენელი ბრაზილიური ფეხბურთისა, მაგრამ მაინც იგრძნობა ის კარგი სტილი, რაც ბრაზილიელებს ახასიათებთ. ამ მხრივ «ბაიას» თამაშმა გამახსენა იტალიის «ინტერნაციონალე», რომელთა წინააღმდეგ წელს გამოვდიოდი მოსკოვში. იტალიელებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვეს.

შოთა იამანიძემ კი ასე შეაფასა ბრაზილიელთა გამოსვლა:

—«ბაიამ» რომ ბრაზილიის თასი მოიპოვა, იმას როდი ნიშნავს, რომ იგი ძალზე ძლიერი გუნდია (თუმცა იგი არც ისე სუსტია, როგორც ბევრს ეგონა), რადგან თასი თამაშდება ოლიმპიური სისტემით და ფეხბურთი კი ისეთი სპორტია, როცა ხშირად ერთი გატანილი გოლი წყვეტს ხოლმე საკითხს.

თბილისელ მაყურებლებს ნუ დაავიწყდებათ, რომ «ბაიამ» პირველი ტაიმის მთელს მეორე ნახევარში თავისი თამაში მოგვახვია. მათმა უზუსტესმა გადაცემებმა და კართან ადგილის შერჩევით გასვლამ გამახსენა ფრანგების თამაში. ისინი დამშვიდებულნი გამოვიდნენ მეორე ტაიმში, მაგრამ დასაწყისიდანვე ჩვენმა მაღალმა ტემპმა და მ. მესხის შესანიშნავმა გარღვევებმა დაშალა მათი დაცვა, მთელი მეორე ტაიმის მანძილზე იგრძნობოდა ბრაზილიელთა დეზორგანიზაცია.

«ბაიასთან» რომ კიდევ ერთი შეხვედრა ჩაგვეტარებინა, მაშინ შეიძლებოდა უფრო ზუსტი აზრების გამოთქმა.

მე პირადად დიდი კმაყოფილება მივიღე ბრაზილიელებთან თამაშით. ეს იყო ნამდვილი თამაში და არა «მუშაობა».

ძნელია ამ თამაშით აზრი გამოთქვა საერთოდ ბრაზილიურ ფეხბურთზე. ჩემზე პირადად დიდი შთაბეჭდილება დატოვა ინგლისელთა თამაშმა («შეფილდ უენდსეი» და «ბრომვიჩ ალბიონი»). მათ აქვთ თამაშის ძალზე ლაკონიური, ეკონომიური სტილი, გრძელი გადაცემები, მაღალი ტემპი. შეუძლიათ იერიში ერთდროულად აწარმოონ ორთავე ფლანგიდან და ცენტრიდან. მათ აკლიათ ტექნიკური დახვეწილობა. ამის მიზეზი შემდეგია: — ინგლისში ფეხს იკიდებს ძალისმიერი ფეხბურთი, რომელიც ხშირად უხეშობამდე მიდის. მართალია, ინგლისურ ფეხბურთს უკანასკნელი ჩემპიონატის შემდეგ ეჭვის თვალით უყურებენ, მაგრამ ნუ დაავიწყდებათ, რომ მათ გუნდში არ ყოლიათ 11 ვარსკვლავი.

ძნელია ტელევიზორში ნახული მატჩით იმსჯელო, (მე მათი თამაში ვნახე გერმანიაში) მაგრამ ესპანეთის ნაკრების თამაშის სტილი ჩემი აზრით არის ინგლისური და ბრაზილიური ფეხბურთების საუკეთესო სინთეზი.

გ. ფანჯიკიძე

კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 1. დოვლათი, 5. ქალაქი ჩინეთში, 7. გამოჩენილი ჰოლანდიელი ფილოსოფოსი, 11. სასწრაფო შეტყობინება ერთის მიერ მეორეზე გადაცემის საშუალებით, 12. ხელოვნური ნაგებობა, 14. დროშა, 15. იშვიათი ნივთებით მოვაჭრე, 16. უკიდურესი, გადაჭარბებული, 19. ქალაქი იტალიაში, 22. ესპანელ მომღერალ ქალთა ტრიოს მონაწილეთა გვარი, 24. ექვსლულიანი სალამური, 25. მოქმედი ვულკანი სიცილიის კუნძულზე, 26. რისამე უმცირესი ნაწილი, 27. პერიოდული გამოცემა, 28. ჩასაბერი საკრავი, 29. ხამი ქსოვილი, 32. წოდება, 33. ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი მკვიდრი, 34. გამშვირვალე წყალი, 35. ქალაქი კრასნოიარსკის მხარეში, 38. დრამატული წარმოდგენის ერთ-ერთი სახე, 39. ხელოვნურად შექმნილი საერთაშორისო ენა, 40. ცეკვა, 44. იარაღის საწყობი, 46. სატირული ხასიათის პატარა ლექსი, 47. დაავადება, 48. ფრინველი, 49. საომარი საჭურველი.

ვერტიკალურად: 1. ლეგენდური ან ზღაპრული სიუჟეტის ლექსი, 2. მხარე, სსრ კავშირში, 3. საფულე, 4. ფრანგი მწერალი-რეალისტი, 5. გადასახადი, 6. ისტორიული ციხე-ქალაქი საქართველოში, 7. ინგლისელი მწერალი-სენტიმენტალისტი, 8. ვოინიჩის რომანის გმირი, 9. საერთაშორისო კოლექტივის წევრთა გაერთიანებული კრება, 10. მოსამსახურე აზიის ქვეყნებში, 13. სარწევი საწოლი ხისა, 17. შენობის შიდა ნაწილი, 18. ოთხ კაცს შორის ჰადრაკის თამაშის პირველყოფილი ფორმა ძველ ინდოეთში, 19. ცნობა, 20. ფრანგული კლასიციზმის მამამთავარი, 21. დედამიწის ჩრდილოეთის პოლარული მხარე, 23. სამი სახელმწიფოს კავშირი მსოფლიო ომამდე, 30. მუსიკოსთა ჯგუფი, გაერთიანებული ნაწარმოების ერთად შესრულებისათვის, 31. ამა თუ იმ ნაწარმოების შემქმნელი, 32. ინგლისელი მუშების მასიური რევოლუციური მოძრაობა, 36. რუსთაველის პოემის გმირი, 37. ნაკვთი, ხაზი, 38. შენობის წინა ნაწილი, 41. ქართული ცხენოსნური თამაშობა, 42. ასაფეთქებელი ნივთიერება, 43. წინადადება, 45. უცნობი სიდიდე მათემატიკაში, 46. ტრანსპორტის სახე.

ხუმრობის გარეშე

გამუღლავნებული საიდუმლო

სიჩუმეში გამომძიებლის ფეხსაცმელებისა და კბილების კრაჭუნი ისმოდა.

— ბრალდებულო, მეათედ გეკითხები: რა გვარი ხარ?!

უცნობი ჯიუტად მალავდა ვინაობას.

უცებ გამომძიებელი ორბისებური მზერით დააშტერდა ბრალდებულის გალეღილ მკერდს თითქოს სურდა მის გულში ჩაეხედა.

— ქურდაძე კოსტა, იგივე „კრისა“, დაბადებული 1930 წელს, უცოლო, ორჯერ ციხეში ნამყოფი...

ბრალდებულმა საყელოზე იტაცა ხელი, მაგრამ გვიანღა იყო: გამომძიებლის მახვილ თვალს მოესწრო მკერდზე ტუშით ჩაბეჭდილი ავტობიოგრაფიის ამოშიფვრა...

მოჩვენება თუ სინამდვილე?

— რას უჩივით?—ეკითხება ექიმი პაციენტს, რომელიც ჰალსტუხთან თამაშითაა გართული.

— ამ ბოლო დროს, ბატონო, ჰალუცინაციები დამჩემდა, რაღაცეები მეჩვენება.

— მაგალითად, რა?

— მაგალითად, გამყიდველი მიწონის შაქარს, მეჩვენება, თითქოს თითი უდევს სასწორზე. ვაფრთხილებ. მას ეღიმება და მარწმუნებს, რომ მე ეს ნამდვილად მეჩვენება. ფულთან ერთად ვიხდი ბოდიშს და ცილისმწამებლის სახელით ვტოვებ მაღაზიას. ანდა, ტრამვაიში ვარ. ვგრძნობ, ვილაცა ჩემს ჯიბეში ფათურობს. ვუხსნი გვერდზე მდგომს, რომ ეს ჩემი ჯიბეა. იგი თვალებს მიბრიალებს, მიწოდებს გიჟს და მკურნალობას მირჩევს. ანდა, სტადიონზე ვარ...

— საკმარისია, — აწყვეტინებს ექიმი,—ვერაფერს გიშველით. მე თვითონ მაგ სენით ვარ შეპყრობილი...

უნამუსო თამაში

— კრინტი, თორემ!—სიბნელეს ვიღაც ბნელი პიროვნება გამოეყო,—ზედმეტი რამეები აქეთ!

ქალიშვილს მხოლოდ სიფრიფანა ჩითის კაბა ემოსა. ამაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

უცებ მძარცველმა ლამპიონის მკრთალ შუქზე საათის ციაგი შენიშნა. წამიც და მას ქალიშვილის მთრთოლვარე ხელი გამოცდილი თერაპევტივით ეჭირა...

შიშნაჭამი ქალიშვილი ღიმილს ვერ იკავებდა, როცა უცნობმა სასოებით შეხსნა პატარა დისთვის ნაყიდი სათამაშო საათი და სიბნელეში გაუჩინარდა...

არლი თაყაიშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე: რთველი.
ფოტო გ. რაზმაძისა

მეოთხე გვერდზე: ჭასთან.
ფოტო ოთ. თურქიანი

ჩანართზე: სურათების რეპროდუქცია ნათელა იანქოშვილის გამოფენიდან.



ნახატი-ხუმრობა ვ. აბროიანისა

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

პ/მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ვ. ონიანი. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-58

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოციინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IX-60 წ. გამომც. № 115. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22.200. შეკ. № 1557, უე 04645

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

კოსმოსი ეხლა ადამიანს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორე საბჭოთა კოსმოსურმა ხომალდმა შეასრულა თავისი პროგრამა და პირველი „კოსმონავტები“ ძაღლები „სტრელკა“ და „ბელკა“ დაუბრუნდნენ მშობლიურ მიწას. მთელი მსოფლიო აღტაცებული თვალს ადევნებდა ამ შესანიშნავ მგზავრობას...

კოსმოსურმა ლაბორატორიამ მეცნიერებას მრავალი ძვირფასი ცნობა მოაწოდა და კიდევ უფრო მოაახლოვა ის დრო, როდესაც თვით ადამიანი დაიპყრობს კოსმოსს.

კოსმოსი ეღის ადამიანს!

ბ. 78/259